ახალი განათლება

2013 წელი, 17 - 23 მაისი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№19 (613) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



წერილები, რომლებიც ლილიხვნმ ილოლოვ მოითხოვილა

გვერდი 4–5

მიმართვა მინისტრს

მთიანი სოფლების მასწავლებელთა პრობლემების შესახებ

გვერდი 2

თვალსაზრისი

ფიქრები მოსწავლეთა ალზრდის პრობლემებზე

გვერდი 3

საუბრები ლიტერატურაზე

მე, თოვლი და ორჰან ფამუქი

გვერდი 5–6

სპორტი

ფედერაცია სასკოლო სპორტისთვის

გვერდი 10

ინტერესი

მოვემზადოთ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის

წიგნის თარო

მოვემზადოთ გამოსაშვები გამოცდებისთვის

8 ლარი


4 ლარი

4,5 ლარი

12 ლარი

5,5 ლარი

7,5 ლარი

6,5 ლარი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

მთიანი სოფლების მასწავლებელთა პრობლემების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ბატონ გიორგი მარგველაშვილს

პირველ რიგში, მინდა მადლიერება გამოვხატო პედაგოგებისადმი გამოჩენილი ყურადღებისათვის, რაც ხელფასების რამდენადმე ზრდაში გამოიხატა, მაგრამ პედაგოგს გაცილებით მეტი ანაზღაურება უნდა ჰქონდეს, იმდენი, რომ არ ესაჭიროებოდეს არსებობისათვის სხვა საშუალებების ძიება (თვითდასაქმება). იგი მთლიანად თავისი პროფესიით უნდა იყოს დაკავებული, რომ დროის დაკვეთა – განათლებული და ინტელექტუალური თაობის აღზრდა – შეასრულოს. სულხან-საბას დავესესხები და ვიტყვი: „მაძღარი კაცი მშიერს მცირედს მიუფშვნეტდა და თან აყვედრიდა, რა ღორულებრ ჭამო“. მაპატიეთ ამ ტერმინისთვის, მაგრამ სულხან-საბამ ბრძანა და მე ვინ ვარ?! ამას იმისთვის მოგახსენებთ, რომ როგორც მაძღარი კაცი ვერ გაიგებს მშიერის გასაჭირს, ისე ქალაქის მცხოვრები ვერასდროს გაიგებს სოფლის მაცხოვრებლის და იქ დასაქმებულთა მდგომარეობას, მით უმეტეს მაღალმთიანი სოფლებისას. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მთებს შორის გამოკეტილს საზოგადოებრივი კავშირებისა და თვითრეალიზების პრობლემა აქვს. მოვიშველიებ მწერალ გურამ ფანჯიკიძეს და ვიტყვი: მე ისეთი მთავრობა მინდა, კაცის ტკივილს რომ გაიგებს და ქვეყანას გამოადგება. ასეთად რომ მიმაჩნიხართ, იმიტომ ვბედავ ამ წერილის დაწერას, თორემ რასაც ახლა ვწერ, არ ახალი სატკივარია.

მასწავლებლობა მარტო პროფესია კი არა, ხელოვნებაა, ნიჭია, რომელსაც, რა თქმა უნდა, განუწყვეტლივ ესაჭიროება სრულყოფა, მაგრამ მარტო სერტიფიკატი არ არის საკმარისი პროფესიონალიზმის განსასაზღვრად. სერტიფიცირება მხოლოდ თეორიული და მეცნიერული ცოდნის დონეს ამოწმებს, ე.ი. განათლების დამადასტურებელი დიპლომის გადამოწმებაა და არა პროფესიონალიზმის დონის მაჩვენებელი. ვფიქრობ, აქ მთავარია: როგორ არის ჩართული სასკოლო საქმიანობაში, რას აღწევენ მისი მოსწავლეები საგნობრივ ოლიმპიადებში, სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებსა და სხვადასხვა კონკურსებში. მასწავლებლობა მარტო 45 წუთი არ არის! ათასი ლაბირინთია გასავლელი, რომ 45 წუთი მართლა გაკვეთილი იყოს. მასწავლებელი რეჟისორია, თითოეული გაკვეთილი – სპექტაკლი, რომლის მონაწილენი ბავშვები არიან. მასწავლებელმა ბავშვის გული უნდა შეძრას, შესაძლებლობის შეცნობაში დაეხმაროს და თვითრეალიზაციის სურვილი გაუჩინოს. ვინ იცის, ვისში ვინ იმალება! ამიტომ, ვფიქრობ, მასწავლებლის სერტიფიცირების საკითხში ბევრი რამ არის გადასახედი, მათ შორის, სერტიფიკატის დანამატის საკითხი, რომელიც, უპრიანია განაკვეთის ღირებულებაში აისახოს. რა დააშავა სერტიფიცირებულმა დირექტორმა? ხელფასი 300 ლარი (გამოწერით), სერტიფიცირების დანამატი – არა, სამუშაო – თავზესაყრელი, მთის მცირეკონტინგენტიან სკოლებში ხომ დამხმარე არავინ გვყავს, საქმის მწარმოებელიც კი. ბუხჰალტერისა და ტექნიკური პერსონალის ანაზღაურება ხომ მთლად მიზერულია – 100 ლარი გამოწერით, საარსებო მინიმუმიც – არა. დირექტორს კვირაში ერთხელ მაინც უხდება რაიონის ცენტრთან კონტაქტი. მართალია, კომუნიკაციის სისტემა არის (ტელეფონი, კომპიუტერი), მაგრამ ხან დენი არ არის, ხან – ინტერნეტი, ინფორმაცია კი გასაცვლელია. არ არის გამვლელი ტრანსპორტიც კი, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე რომ აღარაფერი ვთქვათ. დაცლილ და გადაბერებულ სოფლებში მგზავრიც არ არის, რომ დაემგზავრო ათეულობით კილომეტრზე, ნადირი კი – ბევრი. ამას ხომ ენერგია ესაჭიროება? და როცა სოფელს ღრმა ძილით სძინავს, მხოლოდ მასწავლებლის ოჯახში ანთია შუქი. რულმორეული ებრძვის წიგნებს – ეძიებს, სწავლობს, ფიქრობს, რომ ხვალ, მიჩუმებულ სკოლაში, იმ თითო-ოროლა ბავშვთან პირნათელი წარდგეს, ზოგჯერ პარტნიორობაც გაუწიოს, რომ აზრთა ჭიდილს შეაჩვიოს და კონკურენტული გარემოსათვის მოამზადოს. დილითაც ჩიტს უნდა დაასწროს გაღვიძება. ყველაზე ადრე მისი სახლის საკვამურიდან ამოდის ბოლი, საოჯახო მეურნეობას უნდა მიხედოს, მერე ერთი საქმით დაქანცული მთავარ საქმეს შეუდგეს. ზამთარში მასზე ადრე სოფელში არავინ გაივლის, გზის გამკვალავიც ის არის. შაბათი, კვირა, უქმე დღე – ბარი და თოხი; ყანა, ვენახი, სათიბი... დაკოჟრილი ხელები, ოფლით დანამული შუბლი, გალუმპული ხალათი. ზნეობის ჩარჩოები და მოთმინება – „მასწავლებელი ხარ!“ ცხოვრების მორევი კი დუღს და ტრიალებს. მისი ანაზღაურება გაწეული შრომის არაადეკვატურია. სხვა სფეროში მომუშავეებთან – ძალზე შეუსაბამო, ფაქტობრივად, სინდისის მუშაა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენად დაგვეხმარა გასული წლის ბოლოს მიღებული სახელფასო დანამატი. თურმე ყველა სფეროს მუშაკი იღებს პრემიას, მერე რამდენს! მასწავლებელი არავის ახსენდება. ნუთუ ჩვენზე გაცემული თანხა დააქცევს ქვეყანას, ჩვენ ხომ მცირე ყურადღებაც გვეყოფა. ასეთ მდგომარეობაში მყოფმა როგორ უნდა ასწიოს ის ტვირთი, რასაც დროის მოთხოვნები აკისრებს. მატერიალური უზრუნველყოფის გარეშე ყველა რეფორმა წყალწყალა იქნება. პროექტ „ასწავლე საქართველოსათვის“ მომუშავეს პირობები ადგილობრივი პედაგოგისათვის სანატრელი არ უნდა იყოს! ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა უკეთესი და იოლი საარსებო საშუალებისა და გარემოს ძიება. ამან დაცალა სოფლები. ძნელია და არავის უნდა ორმაგი და სამმაგი ტვირთის ზიდვა, ამიტომაც ჭირს პედაგოგიური კადრები. მთის სოფლებში, ფაქტობრივად, სკოლაა სოფლის შემნახავი, რადგან უექიმოდ შეიძლება სოფლის არსებობა, სკოლის გარეშე კი – არა. იმ თითო-ოროლა ბავშვსაც დროის შესაბამისი განათლების მიღება ესაჭიროება, თუ არა და ოჯახი იძულებული გახდება აიკრას გუდა-ნაბადი და დატოვოს სოფელი, საარსებო გარემოს ძიებაში – ქვეყანა. მთლად დაიცლება ისედაც დაცლილი სოფლები. საკითხავია, რა გველის მომავალში?! დაბრუნდებიან ისინი თუ სხვა დაიკავებს მათ ადგილს? აქტიური გლობალიზაციის პროცესში მიწას ხომ არავინ მოაცდენს?! ვფიქრობ, უფრო ღრმად ჩახედვას საჭიროებს მთიანი სოფლების პრობლემები. გავიხსენოთ, საუკუნეების მიღმა, ქვეყნის ავბედითობით შეწუხებული მეფე-პოეტის ამონაკვნესი: „რა ამოწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდეს“-ო.

დროის ცვლილებისაგან ბევრს მოველით. მცირეოდენი ანაზღაურების დაკარგვის შიშით, მასწავლებელი არ უნდა იყოს მუდმივად პოლიტიკური წნეხის ობიექტი და, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გასცდეს სპირიდონ მცირიშვილის მდგომარეობას.

ეკატერინე ჭიჭინაძე
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის
სოფელ ველევის საჯარო სკოლა

თვალსაზრისი

უფასო სახელმძღვანელოები და გაუფასურებული წიგნები

განათლების 12-წლიანი წარუმატებელი რეფორმის დამთავრებას დაემთხვა სახელისუფლებო არჩევნების ჩატარება. შეიცვალა მთავრობა, აღმასრულებელი ხელისუფლება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემადგენლობა. გაჩნდა იმედი იმისა, რომ ძირეულად შეიცვლებოდა განათლების სისტემა, მაგრამ 7 თვის თავზეც განათლების სამინისტრო ადგას მათი წინამორბედის გზას.

ორად-ორი ქმედება, რაც ამ ხნის განმავლობაში განხორციელდა, არის:

ქმედება 1: მანდატურებისათვის უნიფორმების ესკიზები მოსწავლეებს შეაქმნევინეს. ამ ქმედებას ბავშვური შეიძლება ვუწოდოთ, რადგან სწავლა-განათლების მხრივ ვერაფერს შეცვლის. „კანშეცვლილს“ უთხრეს, კანი კი შეგიცვლია, მაგრამ გული ისეთივე შეგრჩენიაო.

ქმედება 2: აგრარულ უნივერსიტეტს ავტორიზაცია შეუწყვიტეს/შეიძლება ითქვას, რომ ამით განათლების სამინისტრომ გამოააშკარავა ერთი „ლუარსაბის“ სახე, მაგრამ ამით ეშველება საქმეს?/. ეს ქმედებაც, პირველის მსგავსად, იყო ბავშვური იმდენად, რამდენადაც ვიწრო პოლიტიკური და პარტიული ინტერესები იკვეთებოდა. საქმიანი ღონისძიების თვალსაზრისით, ეს იყო ბრძოლა შედეგთან და არა მიზეზთან. შედეგთან ბრძოლა კი ყოველთვის უშედეგოდ მთავრდება. ასე მოხდა ამჯერადაც.

ამჟამად განათლებისა და მეცნიერების მესვეურნი, წინამორბედების მსგავსად, ჰგვანან ჩიხში მომწყვდეულ ადამიანებს, რომლებმაც არ იციან, საით წავიდნენ, რა ქნან, რა გაიკეთონ, ამიტომ... ხომ გაგიგონიათ, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დაადგა მეტად სახიფათო გზას, რომელიც უკავშირდება სასკოლო სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგებას მოსწავლეებისათვის.

ქმედება 3: „სასკოლო სახელმძღვანელოები უფასოდ“ – ეს აქცია გარეგნულად ძალიან ჰუმანურად ჟღერს /განათლების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა რევოლუციური მნიშვნელობისაც კი უწოდა/, მაგრამ შინაარსობრივად გამოუსწორებელი, ინტელექტუალური ზიანი შეიძლება მოუტანოს ქვეყანას. რას ნიშნავს „წიგნი უფასოდ“, კომუნიზმში ხომ არ აღმოვჩნდით? წიგნის უფასოდ დარიგება მის გაუფასურებას იწვევს; სწავლების მხრივ ვერაფერს შეცვლის.

კარგად მახსოვს კომუნისტები რომ გვატყუებდნენ, „აგერ, ჰორიზონტზე მოჩანს კომუნიზმის კონტურები, სადაც ყველაფერი იქნება უფასოდ“, – წერდნენ მაშინდელი ჟურნალ-გაზეთები. მაშინაც კი არ ყოფილა წიგნი უფასო. კომუნისტური რეჟიმის დროს წიგნის ფასი ხელფასთან მიმართებაში იყო ისეთი, რომ მისი ყიდვა არ უძნელდებოდათ მასწავლებლებს, მშობლებს და სხვა დაინტერესებულ პირთ. ყოველწლიურად მოსწავლეები და მასწავლებლები ყიდულობდნენ ახალ წიგნებს. მასწავლებლებს, როგორც წესი, სახელმძღვანელოების ორ-ორი, ზოგჯერ სამ-სამი ეგზემპლარი ჰქონდათ: ერთი ეგზემპლარი – სახლში, მეორე – სამასწავლებლოში და მესამე – კაბინეტში. ახლა მასწავლებლებს არათუ ორი ეგზემპლარი, იშვიათად ახალი სახელმძღვანელოების ყველა ეგზემპლარი ჰქონდეთ. მთავარია, მასწავლებლებს ხელფასები გავუზარდოთ, მშობლებს კი შემოსავალი ისე, რომ სახელმძღვანელოების ყიდვა არ უძნელდებოდეთ არც მშობლებს, არც მასწავლებლებს და არც სხვა დაინტერესებულ პირებს.

კომუნისტური რეჟიმის დროს სახელმძღვანელოების ავტორი ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი უნდა ყოფილიყო. წიგნის გამოცემის შემდეგ /წიგნის შინაარსი ათეული წლების განმავლობაში არ იცვლებოდა/ ავტორები წიგნისკენ არც იხედებოდნენ. მასწავლებლებს არ ჰქონდათ უფლება გამოეთქვათ მოსაზრებები, პრეტენზიები თუ შენიშვნები. მაგალითად, ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, ბატონი ევგენი ხარაძე იყო ერთადერთი ქართველი, რომლის ავტორობით გამოცემული ასტრონომიის სახელმძღვანელო ოცი წლის განმავლობაში არ შეცვლილა. ამ ხნის მანძილზე ბევრი ვარსკვლავი ჩაქრა, ბევრიც დაიბადა, მაგრამ ვარსკვლავებზე წიგნი არ იცვლებოდა. ასეთი იყო კომუნისტური განათლების მიდგომა. დღეს კი, გვაქვს ფუფუნება და გვყავს სახელმძღვანელოების ქართველი ავტორები. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველა სახელმძღვანელო ერთმანეთზე უკეთესია /მასწავლებლებს არჩევანის გაკეთება უჭირთ/. ბედნიერებაა ის, რომ ავტორები სისტემატურად ცდილობენ გააუმჯობესონ სახელმძღვანელოები. კარგ წიგნზე იტყვიან, სამაგიდოაო. სახელმძღვანელოები იმდენად კარგია, რომ ჯიბით უნდა ატარებდეს მოსწავლეც და მასწავლებელიც.

ხელისუფლებამ, განათლების სამინისტრომ ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი გამომცემლებს, ავტორებს, რომ მათ ყოველწლიურად გამოსცენ გაუმჯობესებული სახელმძღვანელოები. ხელი შეუწყოთ გამომცემლებს, კონკურენციის პირობებში შექმნან მაღალი პოლიგრაფიული დონის სასკოლო და სხვა სახის წიგნები. წიგნი რომ გასაყიდად დახლზე დაიდოს, მას სჭირდება კოლოსალური ხარჯები, ინტელექტუალური და ფიზიკური შრომა. წიგნის გასაჩუქრებით გაუფასურდება როგორც ავტორების, ასევე გამომცემლების შრომა.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, გიორგი მარგველაშვილმა 145-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ „წელს პირველად, ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისათვის სახელმძღვანელოებს სახელმწიფო შეიძენს“. თვით ეს ფაქტი კორუფციაა. თქვენ ხართ მდიდარი „ბატონი“, განუსაზღვრელი უფლებებით, მბრძანებელიც, შემკვეთიც. ფასს თქვენ უწესებთ. სხვა არჩევანი მათ არ აქვთ, სხვა ბაზარი მათთვის არ არსებობს. ამას ჰქვია კონსტიტუციური უფლებების დარღვევა.

ბატონი მინისტრი ბრძანებს: „2013-14 სასწავლო წლიდან სახელმძღვანელოები იქნება უფასო, ამის შედეგად სხვადასხვა თანხა /150-დან 200 ლარამდე/ მშობლებს დაეზოგებათ და მიეცემათ შესაძლებლობა, სხვა რამისთვის გამოიყენონ“. თუ თქვენ მშობლების მდგომარეობა გაწუხებთ, მიეცით ვაუჩერები და თავად შეიძენენ სასურველ სახელმძღვანელოებს. ამით მოიგებს სახელმწიფო, გამომცემლობები, ავტორები და მშობლები.

„მე და ჩემი გუნდი ხუთი თვის განმავლობაში ვმუშაობდით... მთელ საქართველოს ვულოცავ, რომ სახელმძღვანელოები საჯარო სკოლებში იქნება უფასო“ – ეს სიტყვები მინისტრს ეკუთვნის. საზოგადოებას ებადება კითხვა: ბატონო მინისტრო, თქვენ და თქვენმა გუნდმა ხუთი თვის განმავლობაში უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეთ? სასკოლო განათლების მხრივ ჩვენ ქვის ხანიდან ახლად გამოსული ქვეყნების გვერდით რომ ვართ, ჯობდა ამაზე გეფიქრათ. სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგებით კი სასკოლო განათლების დონე ვერაფრით გაუმჯობესდება.

ტელევიზიით თვალს ვადევნებდი იმ გადაცემას, როცა თქვენ 145-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრაზე ზემოთ აღნიშნული განცხადება გააკეთეთ და ვაკვირდებოდი მათ რეაქციას, არავითარი ემოცია, აღფრთოვანება მათ სახეებზე არ იყო. იყო მხოლოდ გაკვირვება.

ბატონო მინისტრო, საზოგადოებას ახსოვს თქვენი პირველი განცხადება იმის შესახებ, რომ პრობლემურ კითხვებზე პასუხებს პროფესიონალთა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების შემდეგ გასცემდით. ეს იყო რევოლუციური მნიშვნელობის პასუხი. მოგიწოდებთ, არ გადაუხვიოთ თქვენს ამ უმნიშვნელოვანეს მოსაზრებას. გაითვალისწინეთ პროფესიონალთა და ექსპერტთა რჩევები. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგებას აუცილებლად მოჰყვება მისი ხარისხობრივი, შინაარსობრივი გაუარესება და სხვა უარყოფითი შედეგები.

დემურ კუხალეიშვილი
ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი
ჩხორიის საჯარო სკოლა, ზუგდიდი

თვალსაზრისი

ფიქრები მოსწავლეთა აღზრდის პრობლემებზე

ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, თითქმის ათეული წელია, სისტემაში განხორციელებული რეფორმის თვალყურმადევარი ვარ და ინტერესით ვხვდები ყოველ სიახლეს... ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ბატონმა გიორგი მარგველაშვილმა პედაგოგის შრომის შეფასებასთან დაკავშირებით ბრძანა: მასწავლებლის შრომა მხოლოდ ოლიმპიადებითა და აკადემიური შედეგებით არ უნდა გაიზომოს, არამედ იმით, თუ როგორი ადამიანი აღზარდაო. ამ ფრაზამ ოპტიმისტურად განმაწყო და დამაფიქრა მასწავლებლის აღმზრდელობით მისიაზე, ზოგადად მის მახასიათებელსა და მძიმე ადამიანურ ხვედრზე.

უკვე რამდენი წელია გამოსავლის ძიებაში ვართ, რეფორმის ეგიდით ტარდება საცდელი ექსპერიმენტები მასწავლებლის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ რეალური შედეგი არ ჩანს. ავიღოთ, თუნდაც, მასწავლებლის სერტიფიცირების გაჭიანურებული, წინააღმდეგობებით აღსავსე გზა, რომელმაც ვერ მიგვიყვანა „ტაძრამდე“ – ბევრი პედაგოგი ამ პროცესს სკეპტიკურად შეხვდა... ბევრიც ასაკის გამო გაერიყა... ძალზე მცირე ნაწილმა გარისკა, მაგრამ 75-ლარიანმა მატებამ დიდად ვერაფერი შეცვალა პედაგოგის დუხჭირ ყოფაში. 1000-ლარიანი ხელფასი უმრავლესობისათვის (ვინც ჩააბარა სასერტიფიკატო გამოცდები) მიუწვდომელი აღმოჩნდა, რადგან პედაგოგის თავზე დამოკლეს მახვილივით აღმართეს ინგლისურისა და კომპიუტერის გამოცდა.

შემდეგ ამას მოჰყვა ახალი ექსპერიმენტი პედაგოგიური სქემის სახით, რომელიც წმინდა წყლის ფორმალიზმია და მოკლებულია სერიოზულ მასტიმულირებელ ბერკეტებს. სქემაში ჩართული მასწავლებლის საქმიანობის მონიტორინგი ხორციელდება არა პრაქტიკული მუშაობის საფუძველზე, არამედ მასწავლებლის სქემის ყოველი წერტილ-მძიმის დაცვით და, ძირითადად, მის მიერ შედგენილი დოკუმენტების ავკარგიანობით. გამოდის, რომ სერტიფიცირების პროცესი ჩიხში შევიდა და ჩვენი პედაგოგები კვლავ პესიმისტურად არიან განწყობილნი. ყველაზე მეტად მტკივნეული კი ის არის, რომ დაიჩრდილა პედაგოგის აღმზრდელობითი ფუნქცია, გამოითიშა რა აღმზრდელობითი კომპონენტი შეფასების სისტემიდან.

არაჩვეულებრივია განათლების მინისტრის დამოკიდებულება საკითხის მიმართ, რომ აღზრდაა მთავარი! მაგრამ ხომ ფაქტია, რომ პედაგოგს არავინ აფასებს მის მიერ აღმზრდელობითი საქმიანობის დაგეგმვის, მისი პრაქტიკაში რეალიზების და შედეგების შემოწმების თვალსაზრისით. უფრო მეტიც, დამკვიდრდა პრინციპი: ჯერ სწავლა-სწავლების საქმე და შემდეგ აღზრდა! ვაღიარებ, ურთულესია სააღმზრდელო შედეგების შემოწმება, რადგანაც აღზრდის პროცესი მრავალმხრივი და მრავალფაქტორიანია, მაგრამ აბა, კარგად მოვუსმინოთ, რა გამოწვევებზე საუბრობენ კულუარებში პედაგოგები:

მავნე ზეგავლენას ახდენს მოზარდზე, უუხეშებს სულს, უკნინებს სწავლის სურვილს და ძნელად დასამორჩილებელს ხდის მას ეპოქის თანმდევი მანკიერებანი – ძალადობა, სისასტიკე, სხვათა ღირსების შებღალვა (გავიხსენოთ ჩვენს საპყრობილეში ადამიანებისადმი სადისტურად მოპყრობის ეპიზოდები!), გულგრილობა, ეგოისტური ზრახვები, დანაშაულებრივი ქმედებები.

კარგად გვესმის, რომ დღეს, ისე როგორც არასდროს, გართულდა მოსწავლის აღზრდა. ჩვენ ხომ იმ ეპოქაში ვცხოვრობთ, როცა პიროვნებაზე კონცენტრირებულმა პედაგოგიკამ გააძლიერა ადამიანის მიერ საკუთარი თავის ინდივიდუალურ-პიროვნული შეფასება, რათა მან თავად მოძებნოს პასუხი წამოჭრილ კითხვაზე და ახლებურად გადაწყვიტოს ის. ერთი სიტყვით, შუბლზე დასაწერ ფრაზად გვექცა თავისუფალი ადამიანის აღზრდა! ეს არც ისე იოლია, რადგან პედაგოგს ყოველდღიურად შეხება აქვს არა მარტო მოსწავლის ინდივიდუალიზმთან, არამედ ეპოქალური ცვლილებებით გამოწვეულ თავისებურებებთან (ტელემანია, აქსელერაცია, ინფორმაციულობა, აგრესია).

მოდით, დავფიქრდეთ იმაზე, რაოდენ დიდი ძალისხმევა სჭირდება პედაგოგს, მიზერული სტიმულირების ფარგლებში, შეცვალოს მოსწავლე – ჩამოაყალიბოს მისგან ჰუმანისტი პიროვნება, რომელსაც ადამიანისადმი კეთილგანწყობილების, სულიერი სიმდიდრის, გულმოწყალების, ემპათიის და სხვა თვისებები ექნება... და რომელიც უფრო მეტად მოძებნის არა კონფრონტაციას, არამედ კომპრომისს, არა განსხვავებულობას ადამიანებში, არამედ მათი დაახლოების გზებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში დავრჩებით მოგებული, რადგან საზოგადოებას შეემატებიან აქტიური პოზიციის ადამიანები, რომლებიც შექმნიან ახალ ღირებულებებს. სხვა შემთხვევაში, სკოლადამთავრებულები შეუერთდებიან კონფორმისტებისა და ინერტულების დიდ არმიას.

და ჩვენც, სწორედ ამ დიდი მისიიდან გამომდინარე, შემდეგნაირად ვაყალიბებთ პრობლემას: უნდა არსებობდეს თუ არა მასწავლებლის შეფასების და სტიმულირების სისტემა, რომელიც პედაგოგს დააფასებს არა გამოცდებითა და სქემებით, არამედ თავისი სასწავლო-სააღმზრდელო პრაქტიკის გათვალისწინებით და ბავშვებთან ცოცხალი ურთიერთობით.

ჩვენი ხედვა ასეთია: გამოცდა პანაცეა არ არის. აუცილებლად უნდა შეიქმნას ახალი სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს პედაგოგთა დიდ ნაწილს, წარმოაჩინოს თავისი საქმიანობის პოზიტიური მხარეები, რეალიზება გაუწიოს საკუთარ სააღმზრდელო პოტენციალს, ანუ პედაგოგმა „თავისი დაკარგული სახე“ უნდა იპოვოს. დროა, შეფასების საზომად იქცეს ცოცხალი საგაკვეთილო პროცესი, მოსწავლეებთან ურთიერთობის სტილი, სააღმზრდელო ღონისძიებების ხარისხი, რასაც ეწირება მასწავლებლის დიდი ენერგია და ძალ-ღონე.

რატომ, რა არგუმენტების გამო ვფიქრობთ ამგვარად და არა სხვანაირად?

ამაში, უპირველეს ყოვლისა, გვარწმუნებს მცირე კვლევა, რომელიც 2 სკოლის ბაზაზე ჩავატარეთ და რომლის მიზანი იყო პედაგოგებისა და მოსწავლეების ურთიერთობაში არსებული პრობლემების შესწავლა. მოსწავლეებს შევთავაზეთ სპეციალური კითხვარი: სკოლას რომ დაამთავრებენ, რომელ პედაგოგს გაიხსენებენ სიამოვნებითა და პატივისცემით, აირჩევდნენ თუ არა პედაგოგის პროფესიას? რომელ თვისებებს აფასებენ ყველაზე მეტად პედაგოგში? შენ რომ პედაგოგი იყო...

კვლევით დადასტურდა, რომ მოსწავლის დამოკიდებულებას მასწავლებლისადმი ამ უკანასკნელის მრავალი თვისება განსაზღვრავს, რომელიც 4 ჯგუფადაა წარმოდგენილი: I. პედაგოგის პროფესიული მომზადების დონე-ცოდნა, მეთოდური დახელოვნება; II. სოციალურ-პიროვნული ნიშნები: სამართლიანობა, გაგების უნარი, ნდობა, მოთმინება, დახმარებისათვის მზაობა, ზომიერება (*„არ უნდა იყოს ზედმეტად მკაცრი, არც ლმობიერი, თორემ ოოო ...“*), მომთხოვნელობა, მეგობრულობა (*„ტკბილი სიტყვით ბავშვის დამორჩილება“*), კეთილგანწყობა; III. გარეგნული მონაცემები: თავდაჭერა, სიხალისე, გემოვნება, მეტყველების კულტურა; IV. ნერვული მდგომარეობა; *„მასწავლებელს ერთმანეთისაგან არ გამოვარჩევ, თავისებურად ყველა დადებითია, თუმცა თითოეულს თავისი ნაკლი აქვს. მათი ყველა საუკეთესო თვისება რომ ავიღოთ, ერთი იდეალური მასწავლებელი გამოვა,“* – წერს ერთ-ერთი მოსწავლე.

ზემოთ დასახელებულ კითხვებზე გაცემული პასუხებიდან გამოჩნდა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა კარგად აცნობიერებს რით იმსახურებს, ან არ იმსახურებს ესა თუ ის პედაგოგი მის სიმპათიას, პატივისცემას, სიყვარულს. ისინი წერენ, რომ განსაკუთრებული ემოციებით გაიხსენებენ დემოკრატ პედაგოგებს, მათი სოციალურ-პიროვნული ღირსებების გამო:

„სიამოვნებით მოვიგონებ ჩემს მასწავლებელს და სუფრაზე მის სადღეგრძელოსაც შევსვამ! ეს ხომ იგივეა, რაც დედის სადღეგრძელო“...

„მოვიგონებდი ერთს, განსაკუთრებით, რადგან მისი ყოველი გაკვეთილი ჩემთვის ცხოვრების გაკვეთილიცაა და რომ იცოდეთ, ზარის დარეკვა როგორ მწყინს!“

„არასოდეს დამავიწყდება ჩემი დამრიგებელი, ერთი შეხედვით სუსტი, ნაზი არსება, მაგრამ შინაგანად ძლიერი და შეუპოვარი“...

ამ ჯგუფის პედაგოგები თავიანთი იერსახით, შინაგანი ღირსებებით, ქმნიან ავტორიტეტს. მოსწავლეები ნებაყოფლობით ემორჩილებიან მათ, ავტორიტეტები თანამშრომლობენ ბავშვებთან, მათთან ერთად მსჯელობენ, ყურადღებით ისმენენ და აანალიზებენ მათ ნათქვამს; აძლევენ თავისუფლებისა და ინიციატივის გამოვლენის შესაძლებლობას. მათ არ ეზარებათ ექსკურსიებზე წასვლა, ღონისძიებების ჩატარება.

მეორე ჯგუფს ქმნიან ავტორიტარი პედაგოგები, რომლებიც ხაზს უსვამენ თავიანთ უპირატესობას, არ ენდობიან მოსწავლეებს და მოითხოვენ დასჯით მეთოდებს (*„მასწავლებელი არასოდეს არ უნდა წავიდეს კომპრომისზე, იმიტომ რომ მასწავლებელია“, „კონფლიქტების დროს დამნაშავეა ბავშვი და ის უნდა დაისაჯოს მთელი სიმკაცრით“*). ისინი ხშირად მიმართავენ მშრალ მორალიზებას, ირონიას, მუქარას, იმპერატიულ კილოს, სარკაზმს. ასეთი სტილის პედაგოგები, რომლებიც მრავლად არიან ჩვენს სკოლებში, ხშირად კარგავენ კონტროლს კლასზე და ადვილად ერთვებიან კონფლიქტურ სიტუაციებში. პედაგოგიური ღირსების ყალბი გაგების გამო ვერ ახერხებენ კონფლიქტების პრევენციას.

მოსწავლეები ვერ იტანენ, მწვავედ განიცდიან, როცა უფროსები ზემოდან დაჰყურებენ, უპატივცემულოდ ექცევიან და თავიანთ პროტესტს ასე გამოხატავენ, კითხვაზე – „შენ რომ მასწავლებელი იყო...“ პასუხობენ:

„ბავშვების პატივისცემის მოპოვებას შევეცდებოდი, ოღონდ არა ჩხუბითა და ყვირილით“

„უფრო კრეატიული ვიქნებოდი“

„მოსწავლეს არ ჩავუსაფრდებოდი და ნიშნის გამოსწორების საშუალებას მივცემდი”

„არ დავივიწყებდი, რომ ოდესმე მოსწავლე ვიყავი“

„არ დავამცირებდი მოსწავლეს კლასის წინაშე“

„თავშეკავებული ვიქნებოდი, ჩემს პრობლემებს სხვებზე არ გადავიტანდი და ბოღმას არ გადავანთხევდი“

„ბავშვებს ისე ვასწავლიდი, რომ რეპეტიტორი აღარ დასჭირვებოდათ“

„ვიქნებოდი კომუნიკაბელური, მაგრამ ზედმეტად არ დავუახლოვდებოდი მოსწავლეს და მის მშობელს, მექნებოდა ზღვარი ურთიერთობაში“

„ბავშვებს შევასწავლიდი არა მარტო სახელმძღვანელოს, არამედ ცხოვრებას“

„მოსწავლეებს ერთმანეთისაგან არ გავარჩევდი“

აი, ასეთი „მარგალიტებით“ ამკობენ მოსწავლეები აღზრდის ავტორიტარებს, რომელთა პრობლემა ის არის, რომ არ უყვართ თავიანთი პროფესია და „ძალად პაგანინები“ არიან.

მოსწავლეთა უმრავლესობა უკმაყოფილოა იმით, რომ პედაგოგები მათი პირადი პოზიციისადმი, ინტერესებისადმი უყურადღებობას იჩენენ, რის გამოც უარყოფითად აფასებენ მათ პედაგოგიურ მიდგომებს.

როგორც ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, ავტორიტარიზმი უდიდესი საფრთხეა ჩვენი საზოგადოებისათვის, რადგან ავტოკრატულ გარემოში ყალიბდებიან კონფორმისტები, იოლი გზის მაძიებელი პიროვნებები, რომლებიც მოქმედებენ დასჯა-წახალისების მოტივაციით, რათა არ შეექმნათ ზედმეტი პრობლემები.

დემოკრატიულ გარემოში კი, ურთიერთნდობისა და პატივისცემის გარემოში, როცა პედაგოგები ეხმარებიან მოსწავლეებს გადაწყვეტილებების მიღებაში, აძლევენ რჩევებს და აკონტროლებენ, მოსწავლეები ავლენენ საუკეთესო ადამიანურ თვისებებს, მათ უგრავდებათ სოციალურად სასარგებლო ქცევის გამოცდილება, უმუშავდებათ მაღალზნეობრივი ქცევის განწყობა.

არ გიფიქრიათ იმაზე, თუ რატომ ემართება „ალერგია“ ჩვენს უნიჭიერეს ახალგაზრდობას მასწავლებლის პროფესიაზე? თვალი უნდა გავუსწოროთ იმ რეალობას, რომ დღეს სკოლას ჰაერივით სჭირდება ახალი საკადრო რესურსი, მაგრამ დავესესხები პოეტ ბესიკ ხარანაულს და მისი ხატოვანი ფრაზით ვიტყვი: „სად არიან შვილები, შვილები არ არიან“, ყოველ შემთხვევაში ისეთები, რომლებიც პედაგოგის პროფესიას აირჩევენ.

300 გამოკითხული მოზარდიდან აბსოლუტური უმრავლესობა მასწავლებლობას არ აპირებს. მხოლოდ 4 განსხვავებული ხედვა დავაფიქსირეთ: ერთი ფიქრობს თავისი საყვარელი პედაგოგის გზას გაჰყვეს, მეორეც იმავე არჩევანს აკეთებს, ოღონდ ბავშვების სიყვარულით, 2 კი – ფიქრობს, ვერ გადაუწყვეტია...

ამგვარ პროფესიულ ორიენტაციას მოსწავლეები 3 ჯგუფის მიზეზებით ხსნიან:

– პროფესიის სირთულით (*„შრომატევადია“, „დამღლელია“, „არ მომწონს“, „მასწავლებლებს, 12 წელი რომ გაგვიძლეს, ნობელის პრემია ეკუთვნით“*);

– განსაკუთრებული ფსიქოლოგიური დატვირთვით (*„არ მიღირს ჩემი ნერვების ფასად, ვხედავ, როგორ იტანჯებიან“, „ბავშვების თავი არა მაქვს“*...);

– დაბალი ანაზღაურებითა და არაპრესტიჟულობით (*„მასწავლებლობა ავირჩიო? ბოდიში, მაგრამ 1000 ლარიც ცოტაა“, „მასწავლებლის ამაგი დაუფასებელია“, „არა, რადგან ყველაზე რთული პროფესიაა და ყველაზე დაბალანაზღაურებადი“*...).

გულახდილად უნდა ითქვას, რომ დღეს აღზრდა უკანა პლანზეა გადაწეული, რადგან მასზე მხოლოდ საუბარია და მეტი არაფერი. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ სკოლაში, სწავლების პარალელურად, აღმზრდელობითმა მუშაობამ დომინირებული მდგომარეობა უნდა დაიკავოს. მასწავლებლის საქმიანობაში აღზრდის პროცესია ყველაზე მეტად ყურადსაღები, რთული და მიშვნელოვანი, რომელიც, სამწუხაროდ, ამოღებულია მისი შრომის შეფასების კონტექსტიდან.

ეს უკანასკნელი ქვეცნობიერად აისახება მასწავლებლის, როგორც აღმზრდელის განწყობასა და აქტივობაზე, რის შედეგადაც საზოგადოება იღებს ახალ თაობას ნაკლები აღზრდით, ნაკლები სულიერებით, ანუ იქმნება ჩაკეტილი წრე, პროგრესი კი არ ჩანს.

აღზრდის პროცესის შემაფერხებელი ფაქტორები კი ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

– შესამუშავებელია აღზრდის კონცეფცია თავისი მიზნებით, პრიორიტეტებით;

– არ არსებობს პედაგოგის, როგორც აღმზრდელის შეფასების კრიტერიუმები, აგრეთვე მისი პროფესიული ზრდის მექანიზმები;

– სკოლები მოკლებულია სააღმზრდელო დარგის ხელმძღვანელის შტატს;

– აღზრდის პროცესს აფერხებს 30-35 მოსწავლით კლასების დაკომპლექტება.

აღნიშნული გარემოებები გვაფიქრებინებს, რომ სახელმწიფომ დროულად უნდა შეიმუშაოს პედაგოგის შრომის შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომელშიც სათანადოდ იქნება წარმოჩენილი მასწავლებლის, როგორც აღმზრდელის, დამსახურება და მისი ფინანსური ანაზღაურებაც ამით იქნება განსაზღვრული. საჭიროა გადაიდგას რეალური ნაბიჯები: შემუშავდეს აღზრდის ახალი კონცეფცია, განისაზღვროს პრიორიტეტები, სკოლების ბაზებზე განხორციელდეს მასწავლებელთა გადამზადების ღონისძიებები, გამოიყოს ის რეალური რესურსები, რაც აუცილებელია სკოლაში აღზრდის განსახორციელებლად.

დადგა დრო, ჩვენი პედაგოგები შეფასდნენ არა ინგლისურისა და კომპიუტერის გამოცდით, არამედ სააღმზრდელო შედეგებით (და 1000-ლარიანი მატებაც ამით იყოს განპირობებული). თუ ამ პროცესს დროულად დავიწყებთ, დიდ სტიმულს მივცემთ ავტორიტეტ პედაგოგებს, რომელთა მხრებზეც დგას, ფაქტობრივად, სკოლა, აგრეთვე საზოგადოების თვალში ავამაღლებთ მასწავლებლის პრესტიჟს!

ჩვენ მასწავლებლის პროფესიული ზრდის მოწინააღმდეგე არა ვართ, მაგრამ არა გამოცდების ფორმატში. რატომ არ შეიძლება თავისუფალი პიროვნების აღზრდის თემაზე, პერიოდულად (2-3 წელიწადში ერთხელ), ჩავატაროთ პედაგოგ-აღმზრდელებისათვის ტრენინგ-კურსები, გავაცნოთ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება, იქვე გამოცდებით.

რატომ არ შეიძლება ერთ-ერთ რეალურ ბერკეტად გამოვიყენოთ მოსწავლეთა და მშობელთა აზრის შესწავლა (ჩვენი კვლევის ანალოგიით). ეს ფორმა ხანგრძლივ პროცესზეა გათვლილი, უფრო ამომწურავ და ობიექტურ ინფორმაციას მოგვცემს, ვიდრე 1-2 საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება.

ამ წერილის მიზანია სკოლაში დაკნინებული აღზრდის პროცესის წინ წამოწევა, პედაგოგის აღმზრდელობითი როლის დასაფასებლად ახალი ეფექტური სტიმულების შექმნა და საზოგადოების დაფიქრება, ერთი შეხედვით, მეორეხარისხოვან, მაგრამ, ჩვენი აზრით, საჭირბოროტო საკითხზე.

გულნაზ ხორბალაძე
სსიპ დიმიტრი უზნაძის სახელობის თბილისის №22 საჯარო სკოლის დირექტორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

სტუმარი

წერილები, რომლებიც დიდხანს ელოდა მკითხველს



„შესაძლოა საქართველომ არ მიიღოს რობაქიძე, მაგრამ საქართველოს ისტორია უთუოდ აღნიშნავს, რომ იგი უღელტეხილი იყო (ლექსში, პროზაში, პრობლემის წამოყენებაში). ეს ფაქტია, ვწერ ჩემს თავზე როგორც მესამე პირი“ – ეს ფრაზა გრიგოლ რობაქიძის მიერ 1922 წლის 9 ოქტომბერს კოტე მაყაშვილთან გაგზავნილი ბარათიდანაა. გრიგოლ რობაქიძე მართლაც იტევს XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ყველა პრობლემასა და წახნაგს. თუ არა მისი შემოქმედების სიღრმისეული ანალიზი, სრულყოფილი ვერ იქნება ქართული ლიტერატურის ისტორია. ამგვარი კვლევა შეუძლებელია დოკუმენტური მასალის გარეშე. ცოტა ხნის წინ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დასრულდა გრიგოლ რობაქიძის პირად არქივზე მუშაობა, რომელიც 378 ერთეულს მოიცავს. მასალა დალაგებულია თემატურად და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით – ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა, შემოქმედება და მიმოწერა. მწერლის არქივი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა, ფილოლოგიის დოქტორმა **ეთერ ქავთარაძემ** დაამუშავა. ქალბატონი ეთერი ჩვენი რუბრიკის სტუმარია, რომელიც წერილებით აღმოჩენილი „უცნობი რობაქიძის“ შესახებ გვესაუბრება.

სალიეგის ფასდაუდებელი საჩუქარი

გრიგოლ რობაქიძემ ცხოვრების უმეტესი ნაწილი ემიგრაციაში გაატარა, რაც ართულებს მისი საარქივო მასალის ერთად თავმოყრას. ამიტომ მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ყოველი ახალი დოკუმენტის გამოვლენა განუზომელ მნიშვნელობას იძენს.

ყველასთვის ცნობილია, რომ გრიგოლ რობაქიძის არქივი არ არსებობს. ის მარტოობაში გარდაიცვალა. ჟანდარმერიამ გარდაცვლილი მეორე თუ მესამე დღეს იპოვა – რობაქიძესთან მისულ ფოსტალიონს კარი არავინ გაუღო, მან ჟანდარმერია გამოიძახა, ოთახის კარი შეამტვრიეს და იქ რობაქიძის გვამი დახვდათ. კალისტრატე სალიამ პარიზიდან ჩასვლა მოასწრო და არქივი ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა. მწერლის არქივი საარქივო სამმართველოს გადაეცა, მაგრამ დღეს ჟენევის არქივი აცხადებს, რომ ასეთი მასალა იქ არ ინახება. ალბათ, ყველასთვის იოლი წარმოსადგენია, თუ რა მნიშვნელობა აქვს გრიგოლ რობაქიძის ყოველ მცირე ჩანაწერსა თუ დეტალს. არქივის გარეშე ხომ შეუძლებელია მწერლის შესწავლა. თუ გინდა მწერალი ბოლომდე გაიაზრო და ჩასწვდე, მის არქივსა და შემოქმედებას უნდა იცნობდე, ეს ერთი მთლიანობაა. დღეს ჩვენ რაც გვაქვს მწერლის არქივიდან – 378 ერთეული – ძირითადად, კალისტრატე სალიას მოწოდებულია. რასაკვირველია, საზოგადოებისთვის ისიც საინტერესო იქნება, თუ როგორ მოხვდა ეს ყველაფერი კალისტრატე სალიასთან. 200-მდე წერილი, რომლებსაც რობაქიძე კალისტრატესა და ნინოს უგზავნიდა, ცალცალკე და ერთობლივად, კალისტრატე სალიასთან ინახებოდა. მიხაკო წერეთელმა (მიუნხენში ცხოვრობდა), გარდაცვალებამდე ანდერძის აღმასრულებლად კალისტრატე სალია დაამტკიცა. მისი გარდაცვალების შემდეგ მიუნხენში ჩასულმა კალისტრატემ მიხაკო წერეთლის საარქივო მასალა თან წაიღო პარიზში. ამ მასალებში კი გრიგოლ რობაქიძის მიხაკოსადმი მიწერილი 11 წერილი აღმოჩნდა. მიხაკო წერეთელს ანდერძში ერთერთ თხოვნად ჩაუწერია, რომ მისი პირადი მიმოწერა გაენადგურებინათ. კალისტრატემ, რასაკვირველია, ეს არ გააკეთა და ასე გადარჩა მართლაც ძალიან დიდი მნიშვნელობის წერილები, მათ შორის რობაქიძის მიერ გაგზავნილი, რომლებიც, შეიძლება ითქვას, უდრის მის ნაწარმოებებს. ეს რომ განადგურებულიყო, ქართული ეპისტოლური მემკვიდრეობა მართლაც გაღარიბდებოდა.

კალისტრატეს მიერ გამოცემულ ჟურნალში „ბედი ქართლისა“ აქტიურად მოღვაწეობდა გრიგოლ რობაქიძე, თითქმის ყველა ნომერში იბეჭდებოდა მისი წერილები. აქედან გამომდინარე, ჟურნალის არქივში აღმოჩნდა რობაქიძის ნაწარმოებები. მაგალითად, სწორედ ამ ჟურნალმა შემოგვინახა სუხიშვილებისადმი მიძღვნილი ცნობილი ესსეს ავტოგრაფული ხელნაწერი – „ქართული გენია როკვად განფენილი“. ასევე, „ბედი ქართლისაში“ განმეორებით დაიბეჭდა, შესწორებული ვარიანტი ორი ლექსისა, რომელიც პირველად 1920 წელს გამოქვეყნდა და წმინდა ნინოს მიეძღვნა, ესეც ავტოგრაფული ნუსხაა. ეს ყველაფერი კალისტრატე სალიამ შეაგროვა და გადმოსცა ხელნაწერთა ინსტიტუტს. გარდა ამისა, ჩვენთან დაცულია ნინო და კალისტრატე სალიების მიერ მიწერილი წერილები რობაქიძისადმი, რომლებიც მის არქივში ინახებოდა.

წლების წინ ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი გახლდათ ქალბატონი ელენე მეტრეველი, ის ხშირად დადიოდა პარიზში, ქართული ხელნაწერების შესასწავლად და სტუმრობდა სალიების ოჯახს. მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ და სწორედ ქალბატონ ელენეს ხშირმა ვიზიტებმა და მათმა ურთიერთობამ განაპირობა ამ არქივის ჩვენს ინსტიტუტში ჩამოტანა. სალიებმა არა მარტო ეს არქივი, არამედ მთელი სამეცნიერო ბიბლიოთეკა გადმოსცეს ხელნაწერთა ინსტიტუტს საჩუქრად. 90-იან წლებში, მოგეხსენებათ, ჩვენს ქვეყანაში საარქივო მასალებისთვის არავის ეცალა. შემდეგ ელენე მეტრეველი გარდაიცვალა. მისი იუბილე ახლოვდებოდა და მე დამევალა დამემუშავებინა მისი არქივი. სწორედ ამ არქივზე მუშაობისას ვნახე ეს მასალები, რომლის საფუძველზე შეიქმნა სალიების, გრიგოლ რობაქიძის და მიხაკო წერეთლის ცალკე ფონდები. რადგან დადგა გრიგოლ რობაქიძის არქივის ცალკე ფონდად გამოყოფის საკითხი, შევეცადე მასალები ჩვენს ფონდებშიც მომეძიებინა. ჩვენთან აღმოჩნდა გრიგოლ რობაქიძის რამდენიმე წერილი აკაკი წერეთელთან, არჩილ ჯორჯაძესთან, დავით წერეთელთან, მეუფე გიორგისთან (დავით ალადაშვილი) და დიმიტრი ჩოლოყაშვილთან მიწერილი. საინტერესო მასალა ინახებოდა ფონდ „სხვადასხვაში“ – გრიგოლ რობაქიძის 44 წერილი ქეთევან ამირეჯიბთან. ყველა წერილი ძირითადად ცნობილი მხატვრების სურათების რეპროდუქციებით გაფორმებულ ღია საფოსტო ბარათებზეა, რომელთაც მწერალი საგანგებოდ არჩევდა ადრესატისთვის. წერილების ბოლოს გრიგოლ რობაქიძის ხელმოწერა საგულდაგულოდაა ამოფხეკილი, სავარაუდოდ, ქეთევან ამირეჯიბის მიერ, რითაც მან წერილები გადაარჩინა. ეს მასალა ინახებოდა ადრესატთან გარდაცვალებამდე (1967 წ.), შემდეგ ხელნაწერთა ინსტიტუტს გადასცა ქალბატონმა მზექალა შანიძემ, რომლის მეუღლე რიჩარდ ამირეჯიბი ქეთევანის შვილიშვილი იყო. ეს წერილები თავად მეტყველებს, თუ რაოდენ სულიერი და ინტელექტუალური ერთობა აკავშირებდა მწერალს ამ დარბაისელ, ღირსეულ მანდილოსანთან. ქეთევანი იყო მეუღლე კონსტანტინე ამირეჯიბისა, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დანერგვაში. ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პოლიტიკურსა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებში, გარდაიცვალა 1948 წელს. მისი სახელობის იყო სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტი. ამირეჯიბების ოჯახი დროის დიდ ნაწილს სოფელ ავლევში, საკუთარ მამულში ატარებდა. ისინი ოჯახურ ტრადიციას აგრძელებდნენ – კონსტანტინე ამირეჯიბის დედას, სოფიო არღუთინსკაიას (ქართველი მწერლების პირველი მთარგმნელი რუსულ ენაზე) ახლო მეგობრობა ჰქონდა ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან. გრიგოლ რობაქიძე ხშირად სტუმრობდა მათ თბილისშიც (კრილოვის ქუჩაზე) და ავლევშიც. წერილებიდან კარგად ჩანს, რომ ეს ვიზიტები შემოქმედებითი და სულიერი ენერგიით მუხტავდა მწერალს. ბარათები დათარიღებულია 1910-1913 წლებით, დაწერილია რუსულ ენაზე.



ჩვენს არქივში დაცულია, ასევე, ბოლო წერილი, რომელიც გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრეა დაწერილი. მისი გარდაცვალების შესახებ სამედიცინო დასკვნა 19 ნოემბერსაა დაწერილი, ხოლო წერილი 18 ნოემბერსაა კალისტრატესადმი გაგზავნილი. უკანასკნელი წერილი საქმიანია და არაფერი მიგვანიშნებს, რომ ის მეორე დღეს გარდაიცვლებოდა. ანუ ხელთ გვაქვს მთელი მისი სიცოცხლის ამსახველი წერილები –1910 წლიდან 1962 წლის 18 ნოემბრამდე. ამ წერილებში ჩატეულია მთელი მისი ცხოვრება – შემოქმედებითი თუ პირადი.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ მისი არქივი დაკარგულად მივიჩნიოთ, ალბათ, ეს არც ჩემს თაობას და, შესაძლოა, არც თქვენს თაობას არ მოესწროს, მაგრამ დადგება დრო და ის აუცილებლად გამოჩნდება. დღეს კი ყოველი ფურცელი და დეტალი ფასდაუდებელია გრიგოლ რობაქიძის არქივში, რომელიც დღეს ჩვენს ხელთაა.

წიგნად აკინძული „პირადი მიმოწერა“

რაც შეეხება წიგნს, „გრიგოლ რობაქიძე – „პირადი მიმოწერა“ – შემომთავაზეს გამოგვეცა, ზვიად კვარაცხელიას პროექტის „უცნობი რობაქიძის“ სერიის ფარგლებში.

წერილები ადრესატების შემდეგ მე წავიკითხე. ერთ-ერთ წერილში რობაქიძე მიხაკო წერეთელს წერს: *„...ამას გწერ იმიტომ, რომ ოდესმე ჩვენს წერილებს მოქექავენ არქივებში“*. ვერ აღვწერ რა გრძნობა დამეუფლა, როცა მე აღმოვჩნდი ამ ხელნაწერების „მომქექავი“. ეს გამოგნებელი განცდაა.

კალისტრატე სალიამ ხელნაწერთა ინსტიტუტს წერილები 80-იანი წლების ბოლოს გადმოსცა. მე არქივზე მუშაობა 2000 წელს დავიწყე. გარდა ამ წერილებისა, წიგნში შევიტანეთ მასალები, რომლებიც ჩვენს არქივში დაცული არ არის. მაგალითად, ნიკოს კაზანძაკისადმი გაგზავნილი 5 წერილი, რომლებიც თამარ მესხმა გამოაქვეყნა (თარგმნა მარიამ ქსოვრელმა).

ასევე შევიტანეთ კარლო ინასარიძის მიერ შეგროვებული წერილები, რომლის ადრესატი გახლდათ ემიგრანტი პოეტი გიორგი გამყრელიძე. კარლო ინასარიძემ ეს წერილები ქსეროასლების სახით ხელნაწერების უფლებით გამოსცა რამდენიმე ცალად აკინძული. ბატონი კარლო შესავალში წერს, რომ ყველა ეს წერილი დაკარგულია, შემორჩენილია მხოლოდ ქსეროასლები. მთელ ევროპაში ვეძებთ მის დედნებს, გამყრელიძე ჯერ ამერიკაში ცხოვრობდა, შემდეგ გერმანიაში, საფრანგეთში და სად დაიკარგა, ვერ მივაკვლიეთ. ქსეროასლებით კი, ჩვენდა საბედნიეროდ, გადარჩა წერილები.

საინტერესოა, რომ კალისტრატე სალიას არქივს მოჰყვა ერთ-ერთი წერილის დედანი, რომელიც ჩვენთან ინახება. ეს განუზომელი მნიშვნელობისაა.

წიგნში შევიდა აგრეთვე რუსი ემიგრანტი მწერლის ვიაჩესლავ ივანოვისადმი (რუსული სიმბოლიზმის მამად ითვლება, რომელიც ემიგრაციაში 20-იან წლებში წავიდა) მიწერილი წერილები. მათი ურთიერთობა ემიგრაციამდე დაწყებულა. როცა გრიგოლ რობაქიძე ტარტუში სწავლობდა ყოველ თვე ჩადიოდა პეტერბურგში და კითხულობდა ლექციებს ქართულ ლიტერატურაზე, ნიცშეზე. სწორედ ამ პერიოდში გაიცნო ვიაჩესლავ ივანოვი. წერილებში შეიტყობთ, თუ რა საოცარი გავლენა მოახდინა ივანოვმა გრიგოლ რობაქიძეზე. ვიაჩესლავ ივანოვი გარდაცვალებამდე იტალიაში ცხოვრობდა, გარდაცვალების შემდეგ იქ მისი შემოქმედების შემსწავლელი ინსტიტუტი შეიქმნა. სწორედ ამ ინსტიტუტში აღმოაჩინეს გრიგოლ რობაქიძის მიერ მიწერილი წერილები. ბუნებრივია, წერილები რუსულ ენაზეა დაწერილი, ინსტიტუტის

სტუმარი

თანამშრომელმა ჩამოგვიტანა, ვთარგმნე და წიგნში შევიტანე.

„ძვირფასო ვიაჩესლავ ივანეს ძევ!

იენიდან გწერთ, სადაც ჩემს გამომცემელ Diederichs-თან ვსტუმრობ. ჩემი მეუღლე უკან დაბრუნდა იტალიიდან. სამწუხაროდ, ცუდმა ამინდებმა ხელი შეუშალა ბოლომდე დამტკბარიყო ამ კურთხეული მხარით. თქვენთან ორჯერ შეხვედრა მის მეხსიერებაში წარუშლელი დარჩება. მოხიბლულია თქვენი პიროვნებით, როგორც რუსი და როგორც ადამიანი. Paeschke კი მხოლოდ თქვენზე ლაპარაკობს. ჩემმა მეუღლემ თქვენი სიტყვები გადმომცა: დაე, გრიგოლ ტიტეს ძეს მუდამ ვუყვარდეო. ამან ცრემლებამდე შემძრა. ეჭვი არ შეგეპაროთ თქვენდამი ჩემს სიყვარულში, ვიაჩესლავ ივანეს ძევ! მე ბოლომდე ერთგული ვრჩები მათი, ვისთან შეხვედრაც ჩემში ამ გრძნობას აღძრავს: განშორება არ არის, მაშასადამე, არც სიკვდილია. ერთ-ერთი პირველი ადგილი თქვენ გიჭირავთ იმ მცირერიცხოვან ადამიანთა შორის, რომელთაც სამყაროს საიდუმლოებებს მაზიარეს. ამაზე ჩემი წიგნები მეტყველებენ. ვფიქრობ, ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელიც „გატყორცნილია“ სამყაროში, როგორც შემოქმედებითი პროექტი. რაღაც პუნქტში მან ორი საწყისი უნდა განახორციელოს. თქვენი განმარტებით, ეს ნაზავია ღვთიურისა და არაღვთიურის. ადამიანი ზეპიროვნულის პიროვნულ მაგალითად უნდა იქცეს. ესაა აზრი ღმერთის მოწამებრივი გზისა ადამიანამდე, როგორც პირუკუ, ადამიანის ასევე მოწამებრივი გზისა ღმერთამდე. ყველა ერთნაირად ვერ ართმევს თავს ამ ამოცანას. და ამიტომაც ყველა ერთნაირად უკვდავი ვერ იქნება კოსმიურად და არა მეტაფიზიკურად. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. აქედან გამომდინარე, რა სიხარული უნდა ელოდეს ადამიანს, როდესაც ის მოულოდნელად შეხვდება პიროვნებას, რომელშიც ეს ორი საწყისი თავის ძალითა და ყველა მოცემულობით სრულქმნილობამდეა დაძლეული. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ პირისპირ ვისაუბრებთ, როცა, სავარაუდოდ, აგვისტოში, რომში ვიქნები. წინასწარ ვტკბები თქვენთან „პითაგორულად“ საუბრის მოლოდინში.

ნათელ დღეებს გისურვებთ!“

წერილის P.S. ასე მთავრდება: *„ოღონდ ერთსა გთხოვთ: ჩაღრმავებული ჭვრეტის წუთებში ზოგჯერ მეც გამიხსენეთ“.*

მიმოწერით აღმოჩენილი „უცნობი როგაქიძე“

ამ წერილებმა ახალი შტრიხები შემატა გრიგოლ რობაქიძის პიროვნებას. თავის თავს რობაქიძე მუდმივ ოპონირებას უწევდა, გარკვეული სტანდარტი შეუქმნა საკუთარ თავს – რა არის ღირებული – და ამ ღირებულებების ქვეშ ცხოვრობდა. ეს ვერაფერმა ვერ შეაცვლევინა. მას ხომ ყველაფერი აკლდა ქვეყანაზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სამშობლო აკლდა, რასაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვერ ინელებდა. მთელი სიცოცხლე საქართველოთი ცხოვრობდა. სიცოცხლის უკანასკნელ ათწლეულში დაწერა – საქართველო თავის მსოფლხატში, შეიძლება მართლა მითივით შექმნა წარმოდგენა ერზე და იმაზე მეტი მიაწერა ქართველ ერს, რაც არის. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სწორება ყოფილიყო კარგზე! სამოქალაქო საზოგადოება სხვაგვარად არც შეიქმნება, თუ რამეზე არ არის სწორება. მწერალმა ეს მითი სწორედ იმისთვის შექმნა, რომ ქვეყანას ჰქონოდა მასზე სწორება. რაც მთავარია, ეს ყველაფერი გასაჭირშიც არ დავიწყებია. როცა გიორგი გამყრელიძის წერილებზე ვსაუბრობთ, მინდა ისიც გითხრათ, რომ ყოველ წერილში გრიგოლ რობაქიძეს 5 დოლარს უდებდა, რადგან იცოდა, თუ როგორ გასაჭირში იმყოფებოდა. ის ჟენევაში ლტოლვილის შემნეობით ცხოვრობდა, ლტოლვილი იყო ყველა ქვეყანაში, არც ერთი ქვეყნის ქვეშევრდომობა არ მიიღო. მიხაკო წერეთლისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში რობაქიძე წერს: *„ხშირად ვერ გეხმაურები, სამწუხაროდ. ჯერ ერთი: დრო არა მაქვს – მე, რომელსაც დრო ყოველთვის ჰქონდა. ალბათ კოსმიურმა წონასწორობამ მოითხოვა: თავს დამტეხვოდა სიცოცხლის ბოლოში მთელი სიმძიმით „წყევა ადამისა“! შემდგომ: ხელით წერა თანდათან მიძნელდება. ქართული საწერი მანქანა კი არ გამაჩნია. რამდენს მოვიგებდი მე როგორც ქართველი მწერალი, რამდენს მოიგებდა ქართველი მკითხველი, ასეთი მანქანა რომ მქონდეს! იძულებული ვარ ხელით ვწერო. ამას თან ემატება კიდევ ერთი რამ. „გასმით“ წერას უარობს ჩემი ხელი: იგი ცდილობს: ასოები „ამოჭრას“. ხანდახან ვფიქრობ: ჩემს გვარში ძველად ლურსმულ-მწერელნი თუ იყვნენ-მეთქი“.* სიცოცხლის ბოლომდე ქართულ საბეჭდ მანქანაზე ოცნებობდა მწერალი.

რაღაც ამაღლებული ადამიანი იყო და თავისი თავი თვითონვე შექმნა. ერთ წერილში წერს: *„ქართველთ უნდა ახსოვდეთ ეს – ბუნებით კეთილშობილნი არიან, მაგრამ აკლიათ წვართი. მე თუ რამეს მივაღწიე, მხოლოდ და მხოლოდ „წვართის“ წყალობით“.* ის გამუდმებით მუშაობდა საკუთარ თავზე არა მარტო გონებრივი და ინტელექტის გაღრმავების თვალსაზრისით, არამედ პიროვნული თვისებების ჩამოსაყალიბებლად. როგორც უკვე გითხარით, მის მიერ აღიარებულ ღირებულებებზე არასოდეს, არაფრის გამო უარს არ ამბობდა.

სავსე ვარ მისი პიროვნებით. როგორც გითხარით, არქივში შესულია ორი ლექსი და ესსე „ქართული გენია როკვით განფენილი“, ასევე, ფილოსოფიური ხასიათის ჩანაწერები გერმანულ ენაზე, რომელზეც ძალიან დიდი დაკვირვებითაა საჭირო მუშაობა. მაგალითად, ადამი და ევას ცოდვად დაცემის საფუძვლების ახსნა, რასაკვირველია, ამოკითხული აქვს თეოლოგიურ თუ ფილოსოფიურ ლიტერატურაში, მაგრამ გატარებული აქვს თავის აზროვნებაში.

გრიგოლ რობაქიძის წერილებმა შემოგვინახა მისი უაღრესად საინტერესო შეხედულებები პოლიტიკაზე, ემიგრაციის მოვალეობასა და მრწამსზე, საკუთარ შემოქმედებით ლაბორატორიაზე, ჟურნალში გამოსაქვეყნებელ სტატიებზე და ყველა იმ პრობლემაზე, რომელიც მის წინაშე იდგა სულიერ და შემოქმედებით ჭრილში. ამ წერილებით, ერთგვარად, გაცოცხლდა გრიგოლ რობაქიძე.

წერილები მკითხველს დაეხმარება, ბოლომდე შეიგრძნოს გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებითი გზა, რომელიც მხოლოდ ემპირიული და ინტუიტური საფუძვლიდან არ იღებს სათავეს. მწერალი ღრმა ჭვრეტით „მარადიულ მიბრუნებაშია“ დროსა და სივრცეში. ესაა მიბრუნება შინაგანი არსის მითიურ შრეებთან. მისი აზრით, ადამიანის ქვეშეცნეული სრულყოფილიდაა გაჯერებული ცივილიზაციათა მონაპოვრით – მითიური ატლანტებიდან მოაქჟამამდე. იგი დარწმუნებულია, რომ „წვართის“ წყალობით ადამიანს შეუძლია მარადიულ მღვიძარებაში ამყოფოს ეს შრეები, რათა კაცობრიობის ისტორია ერთ მთლიანობაში აღიქმებოდეს. ამის ერთ-ერთ ძლიერ საშუალებად, ბუნებრივია, როგორც მწერალი, იგი სიტყვას მიიჩნევს.

ამ წერილების გაცნობის შემდეგ თითოეული მკითხველი თავის გრიგოლ რობაქიძეს აღმოაჩენს და საშუალება მიეცემა, ახლებურად გაიაზროს მისი შემოქმედება.

ესაუბრა
ლალი ჯელაძე



P.S. ინტერვიუს ერთ-ერთი უთარიღო, ბოლონაკლული წერილით დავასრულებ. რომლის ადრესატი უცნობია, ის ნათელს ფენს გრიგოლ რობაქიძის სულიერ მდგომარეობას ემიგრაციაში, იმ ტკივილს, რომელიც სამარეში წაიღო: *„ეს არის შენი მშვენიერი ბარათი მივიღე. წავიკითხე, ცრემლები მომაწვა, სიხარულის თუ მწუხარების – სიხარულის, რადგან გულით გაგება ჩემი შემოქმედებისა ევროპაში ჩემთვის ღვთიური საჩუქარია. მწუხრის – რადგან სწორედ ასეთი გაგების დროს წინ მიდგება – მერამდენეჯერ? – შავი ბედი ჩვენი საქართველოსი... მე უარვყავი საკუთარი თავი, ვარ გახსნილი გული მარტო და გული სხეულქმნილი ნაწილია მისტიურ დაგლეჯილი დიონისისა. თუ რამ კარგი ნაყოფი გამოდის ჩემგან, ეს მადლი არის მხოლოდ და მხოლოდ დალოცვილი საქართველოს მიწისა. საქართველოს არ იცნობენ არც აქ და არც იქ. იგი უნივერსალური მოვლენაა. პატარა ერი, რომელშიაც ცოცხლობს ტომურად, ერთსხეულად სული, აღმოსავლური საშო, საცა მიწა „დედაა“ წმინდა, ისტორია უძველესი, რომელიც თავის ათასწლებიან სიგრძეზე აგროვებს ქმედით ცოცხალ ხსოვნას (ანამნეზისს), აქაა საქართველოს არსი. ეს ცხადდება ქართულ ხასიათში, ქართულ სიტყვაში, ქართულ სიმღერაში (რომელიც ღმერთკაცებისაა)... და აი ამ „დედის“, „ამ მიწის“ ტრაგიკული ხილვა ძნელია... ამ წამს ისიც არ ვიცი ცოცხალია თუ არა ჩემი წმინდა დედა, რომლის რძემ მე პირველად საქართველოს მადლი მაგემა, ვაი თუ ველარ ვნახო იგი, ჩემი წმინდა დედა. ცრემლებმა მიხშივრეს ბოლო დროს. დედის გული მაპატიებს ალბათ, რომ საქართველოს მოვცილდი – არა როგორც ემიგრანტი (ეს ფსიქოლოგიურად)... ველარ ვაგრძელებ. მოკითხვა.“*

საუბრები ლიტერატურაზე

ვუძღვნი დედის –
ზაირა ჩხენკელი-ბაგრატიონის ხსოვნას

მე, თოვლი და ორჰან ფამუქი

მოგესალმები,

ჩემო ერთგულო მკითხველო!

საპასუხისმგებლოა ასეთი აუდიტორიის სამსჯავროზე საკუთარი ნაფიქრალის გამოტანა, თუმცა ყოველთვის მიყვარს საკუთარი ხედვის მეგობრებისთვის, საინტერესო ადამიანებისთვის გაზიარება. თქვენ კი, უპირობოდ, საინტერესო ადამიანები ხართ და ის, რომ თქვენი უმრავლესობა პედაგოგია, გვაახლოებს კიდეც ერთმანეთთან.

წინამდებარე წერილი არ არის დაწერილი, როგორც საგაზეთო სტატია. ეს არის რომანის კითხვის დროს გაკეთებული ჩანაწერები, რომლებმაც შემდეგ ფეისბუკის სტატუსებად გადაინაცვლეს, ახლა კი, საგაზეთო სტატიად გაერთიანდნენ.

მოხარული ვიქნები, თუ ვისაც წაკითხული გაქვთ რომანი, თქვენს აზრს და ხედვას გაგვიზიარებთ, ისინი კი, ვისაც ჯერ არ წაუკითხავს ეს წიგნი, აუცილებლად წაიკითხავენ.

პატივისცემით, ინგა ბაგრატიონი

* * *

თბილისში, წიგნების მაღაზიაში „სანტა ესპერანსა“, რომელიც აღმაშენებლისა და უზნაძის შემაერთებელ პატარა ქუჩაზეა და სადაც ვიყიდე ორჰან ფამუქის „თოვლი“, თაროებზე ანბანის მიხედვით დაწყობილი წიგნების მესამე რიგის პირველ თაროზე დავინახე წიგნი, რომელსაც ყდაზე ყვითელი, უფრო სწორად სტაფილოსფერი ფურცელი ჰქონდა მიმაგრებული ე.წ. „სკრეპით“ და ზედ ხელნაწერი შრიფტით რაღაც ეწერა. სათაურად კი... „წიგნის ნეკროლოგი“ ჰქონდა.

მეორე წიგნზეც იყო უფრო ღია ფერის ფურცელი მიმაგრებული ე.წ. „სკრეპით“, რაღაც ტექსტით, მაგრამ მას არ ეწერა „წიგნის ნეკროლოგი“.

დამაინტერესა, მაგრამ იმ სტაფილოსფერ-ფურცლიან წიგნს ხელი არ (ვერ) მოვკიდე და არ (ვერ) წავიკითხე... სიტყვამ – ნეკროლოგი – ჩემზე ცუდად იმოქმედა.

რა იყო ეს – მარკეტინგული გათვლა, თუ ავტორის პოზიცია წიგნისადმი, თუ ახალი თბილისური ინტელექტუალური მოდა, თუ წიგნის სათაური?

არ ვიცი....

თუ პირველი, მაშინ ჩემთვის არ გაამართლა, რადგან ნეკროლოგს გაზეთში არ ვკითხულობ და ტელევიზორში არ ვუყურებ (ვუსმენ) და იმ გარემოში, სადაც სიცოცხლე უამრავი წიგნიდან ჩქეფს, რა საქმე აქვს ნეკროლოგს? თუ მეორეა, მკვდარ წიგნს რა უნდა წიგნების მაღაზიაში? თუ წიგნი წაკითხვისთანავე მოკვდა, ასეთი წიგნის ყიდვას და წაკითხვას რა აზრი აქვს? თითქოს ცხოვრებაში ადამიანების სიკვდილი გვაკლია, წიგნის სიკვდილის მოწმეები რომ არ გავხდეთ! თუ მესამეა, ანუ მოდაა ასეთ სათაურზე, მაშინ ბოდიში, ჩემთვის, ერთი სოფლელი, პროვინციელი წიგნის მოყვარულისთვის, თბილისური ინტელექტუალური მოდა ძალიან მაღალი მოდაა და მის არსს ასე დაუახლოებლად, ალბათ, ვერ ჩავწვდები. ამიტომ, როცა კიდევ მოვხვდები ამ ძალიან საინტერესო და მდიდარ წიგნების მაღაზიაში, აღმაშენებელსა და უზნაძეს შორის, აუცილებლად წავიკითხავ იმ „წიგნის ნეკროლოგს“ და, იქნებ, მაშინ მივიღო პასუხი ჩემს კითხვებზე.

მაგრამ ეს სათაური „წიგნის ნეკროლოგი“ არ მასვენებს... იქნებ, როცა წიგნზე იწყებ წერას, ეს კლავს თავად წიგნს?

არის ამაში რაღაც... ალბათ, იმიტომ, რომ ყველას საკუთარი ხედვა აქვს წიგნისა და სხვამ შეიძლება არ დაინახოს ის, რაც მე დავინახე, ან ჩემი განცდილი და ნანახი სხვას არ მოეწონოს და მისთვის ეს წიგნი მოკვდეს და აღარ წაიკითხოს; ან პირიქით, ჩემი ნაფიქრალი და განცდილი იმდენად სრული და საინტერესო იყოს, რომ ყველაფერი ითქვას წიგნის შესახებ და ჩემი ნაფიქრალის წაკითხვის შემდეგ ვინმემ თავად წიგნი აღარ წაიკითხოს, ანუ მისთვისაც მოკვდეს ეს წიგნი! არა? (სტუდენტობიდან, ალბათ, ყველას ახსოვს ასეთი მკვდარი წიგნები, რომელთა შესახებ კრიტიკიდან ვგებულობდით ყველაფერს, წიგნს კი

→ 6

საუბრები ლიტერატურაზე

არ ვკითხულობდით. თითქმის ყველაფერი ვიცოდით წიგნზე, მაგრამ თავად წიგნი არ წაგვიკითხავს, ანუ ის წიგნი მკვდარია ჩვენთვის.

ახლა, როცა ვკითხულობ „თოვლს“, ბევრი რამის თქმა, დაწერა, გაზიარება მინდა, მაგრამ თვალწინ ის ყვითელი, უფრო სწორად, სტაფილოსფერი ფურცელი წარწერით „წიგნის ნეკროლოგი“ მიდგას...

...კიდევ, ალბათ, ესეც უნდა დავწერო... იმ მრავალ წიგნს შორის, რომლებსაც ნეკროლოგებით ძალიან კარგად ვიცნობდი, ჩემდა სამარცხვინოდ, იყო „დიდოსტატის მარჯვენა“, რომელიც ჯერ კიდევ სკოლაში მომიკვდა... მართალია, მაშინდელი გარჩევისა და ფილმის საშუალებით ამ წიგნის შესახებ ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ წაკითხული არ მქონდა (ასეც ხდება).

„დიდოსტატი“ მხოლოდ ჩემმა გოგომ გამიცოცხლა, როცა, პირველად ცხოვრებაში, წიგნის კითხვაში დაათენდა და დილით დიდი ხნის დუმილის შემდეგ თქვა – „უძაანმაგრესი წიგნია“!!! და გამომიტყდა გიორგის სიკვდილზე ვიტირეო (სენტიმენტალური ნამდვილად არ არის და საერთოდ, ისე გაიზარდა, არ უტირია)... შემრცხვა და „დიდოსტატი“ გამიცოცხლდა... და ამით ბედნიერი ვარ!

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ სხვისი აზრი ყოველთვის არ კლავს წიგნს! სხვისი აზრი ნაწარმოების შესახებ შეიძლება არ იყოს ნეკროლოგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მშრალი ანალიზი კი არ არის, არამედ – წაკითხულისადმი პირადი ემოციებისა და დამოკიდებულების გამოხატვაა.

ასეთ შემთხვევაში, შენს მკითხველში იწვევ სხვადასხვა ემოციას და მას, შეიძლება, შენთან გასაუბრება, შენთან პოლემიკა ან შენი აზრების გაზიარება მოუნდეს, მაშინ ის აუცილებლად წაიკითხავს იმ წიგნს, რომლის შესახებაც გულწრფელ ემოციებს უზიარებ, რომ თავადაც გახდეს ან არ გახდეს ამ ემოციების თანამოაზრე ან მოზიარე.

თუკი გადავწყვეტ წაკითხულ წიგნზე რამის დაწერას, ვეცდები, ასე დავწერო – გულწრფელი ემოციებით!

მაშ ასე, დავიწყოთ... დავიწყოთ ყველაფერი თავიდან!

მე მიყვარს თოვლი და, უკვე მეორე წელია, ისეთ ადგილას ვცხოვრობ და ვმუშაობ, სადაც შარშან, მაგალითად, 6 თვე თოვლი იყო და მხოლოდ სააღდგომოდ დადნა.

მე მიყვარს კითხვა და ამ ბოლო დროს უფრო აღმოსავლური ლიტერატურის გაცნობა მწადია, ამიტომ, როცა წიგნების მაღაზიაში ფამუქის ნაწარმოებები ვნახე, რა თქმა უნდა, ჩემი არჩევანი „თოვლზე“ შევაჩერე.

მე არ დავიწყებ ორჰან ფამუქის რეგალიებსა და ავტორიტეტზე წერას, ნებისმიერი „დაგუგლავს“ და ნახავს, მეც ფამუქზე მხოლოდ ვიკიპედიის ინფორმაციის გაცნობით შემოვიფარგლე, სხვა არაფერი წამიკითხავს, რადგან მეშინია, სხვისი გავლენის ქვეშ არ მოვექცე და მინდა, შევძლო ჩემი ემოციებისა და განცდების შეუფერადებლად ჩვენება.

თუ ამ ადამიანს თურქეთში არანაირი პრობლემა არ ექმნება იმისთვის, რაც ამ რომანში უწერია, მაშინ არც მთლად ისეთი ქვეყანა ყოფილა თურქეთი, როგორადაც ის ამ ნაწარმოებშია ნაჩვენები. ამ სიტყვების წერისას „თოვლის“ ერთი გმირის სიტყვები გამახსენდა, რომელსაც არ სურდა, ფამუქის მიერ დაწერილ რომანში, თურქეთი არასწორად დაენახა მკითხველს. მაგრამ ვფიქრობ, რომ სწორად დაგვანახა ავტორმა თავისი ქვეყანა, რადგან, რამდენადაც ინტერნეტი იტყობინება, ფამუქს ჰქონია პრობლემები სახელმწიფოსთან თავისი შეხედულებების გამო. თავისი ქვეყნის ან კუთხის კრიტიკას ხომ ძნელად პატიობენ.

სამწუხაროა, მაგრამ ძალიან ხშირად, როცა წიგნს ვკითხულობთ, არ ვაქცევთ ყურადღებას ეპიგრაფებს, მაშინ როცა ისინი ძალიან ბევრს გვეუბნებიან იმის შესახებ რასაც ვკითხულობთ. ალბათ, ავტორიც ეპიგრაფებს ბოლოს წერს და ამით რეზიუმირებას ახდენს იმისა, რაც უკვე დაწერა. „თოვლის“ ეპიგრაფებშიც თავმოყრილია ყვალაფერი, რაც გაშლილია რომანში: მიძღვნა ქალიშვილისადმი, საგნების საშიში ზღვარი, პოლიტიკა ლიტერატურულ ნაწარმოებში და შუა კონცერტზე გასროლილი ტყვია, ევროპა და ევროპელობა და ხალხის უფასურობა! ამით ყველაფერი ნათქვამია, მაგრამ ეს არ კლავს წიგნს, ეს არ არის წიგნის ნეკროლოგი, რამეთუ მე, როგორც მკითხველმა, უნდა გავიგო, რა კავშირია ამ ფასეულობებს შორის და რაც მთავარია – რა შუაშია აქ თოვლი!

რომანი, ერთდროულად, პოეტურად და პროზაულადაც იწყება.

ეპითეტში „უხმოა თოვლი“ უკვე ჟღერს იდუმალი და ამოუცნობი მუსიკა, რომელიც ცხოვრებით გატანჯული გლეხი ქალის სულში შეიძლება დაიბადოს.

მეორე წინადადება კი უკვე პროზაული დამღლელი მოგზაურობაა ყარსისკენ. თუკი ვინმეს გიმოგზაურიათ თურქეთში, ჩემზე კარგად გეცოდინებათ ეს გზა. ვინც არ ყოფილხართ, წარმოიდგინეთ ან კიდევ უკეთესი, იმგზავრეთ ახალციხე-ახალქალაქის გზით ახალქალაქამდე და იგრძნობთ, რა დამღლელი და დაუსრულებელი იქნებოდა სტამბოლიდან არზრუმამდე და არზრუმიდან ყარსამდე გზა.

ის, რომ რომანის პირველივე თავებში საუბარია რუსებზე, სომხებზე, ქართველებზე, საბჭოთა კავშირზე, დაბოლოს ის, რომ მოქმედება ვითარდება ყარსში და არა ანკარაში ან ანტალიაში, არამედ აქვე მეზობლად, იმთავითვე ახლობელს ხდის ამ წიგნს ქართველი მკითხველისთვის. ნაცნობი პეიზაჟები, ნაცნობი სიტუაციები, არც ისე შორეული წარსული აიოლებს რომანის კითხვას, მისი პრობლემატიკის გათავისებას და, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი პარალელის დანახვასაც!

რატომ სამწუხაროდ? ...იმიტომ, რომ რომანში ისეთი განუკითხაობაა აღწერილი, ისეთი საშინელებები ხდება, ისეა გაუფასურებული ადამიანის ცხოვრება და სიცოცხლე, რაღაც იდეების გამო, რომ, სამწუხაროდ, ძალიან ბევრგან ჩემი სამშობლოს უახლეს წარსულს მაგონებს.

თავიდან, როცა ფამუქის „თოვლი“ შევიძინე, ანოტაცია წავიკითხე, სადაც ეწერა, რომ მთავარი გმირი, შემთხვევით, გადატრიალების მონაწილე გახდება, წიგნს გადავხედე და ფიფქზე დაწერილი ლექსების ჩამონათვალი ვნახე, ამ ყველაფერმა: თოვლმა, ლექსებმა და გადატრიალებამ, რატომღაც პასტერნაკის „ექიმი ჟივაგო“ გამახსენა.

თოვლი, მეგონა, ყველგან და ყველასთან ერთნაირ ემოციებს იწვევდა, მაგრამ სხვაა პასტერნაკის თოვლი, რემარკის თოვლი და ფამუქის თოვლი. ყველაზე ახლოს ჩემთან სწორედ ფამუქის თოვლია, ალბათ იმიტომ, რომ გეოგრაფიულადაც ახლოსაა.

„უხმოა თოვლი... ეს რომ ლექსის დასაწყისი ყოფილიყო, თავის გრძნობას თოვლის სიჩუმეს დაარქმევდა.“

„გამსხვილებულ ფიფქებს მიშტერებოდა, ქარი ჰაერში რომ ატრიალებდა. ისინი ბავშვობისაგან შემორჩენილი ბედნიერებისა და სისუფთვის, და არა მოახლოებული უბედურების ნიშნად ეჩვენებოდა.“

„ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ ეს არნახულად ლამაზი თოვლი გაცილებით დიდ ბედნიერებას მიანიჭებდა.“

„თოვლი ცხოვრებაში ერთხელ მაინც ყველას გვესიზმრებაო.“

„ახლა თოვლის საფარქვეშ თითქოს ყველაფერი წაშლილიყო და დაკარგულიყო.“

„როცა თოვლი ქალაქის ჭუჭყს, ტალახსა და სიბნელეს თავის საფარქვეშ მალავდა, კას არსებაში უმანკოების მივიწყებული გრძნობა იღვიძებდა ხოლმე.“

„აქ თოვლი დამღლელი და მოსაბეზრებელი იყო. მთელ ღამეს თოვდა. თოვა ერთი წუთითაც არ შემწყდარა.“

„ეს თოვლიც უხმოდ მოასწავებდა სამყაროს დასასრულს.“

ამ პოეტური და თან ძალიან რეალური თოვლის საფარიდან ნელ-ნელა გამოძვრება ისტორია თვითმკვლელი ისლამისტი გოგონების და თეატრალური დასის პოლიტიკური გადატრიალების. თოვლის ზვავივით იზრდება დაპირისპირება: პრინციპები თუ პირადი ბედნიერება; ევროპა თუ აღმოსავლეთი; რწმენა თუ ურწმუნოება; სამშობლო თუ უცხოეთი! და ამ დაპირისპირების გამო ჰაერში ჰკიდია კითხვა – სად არის ფარისევლობა და სად არის ჭეშმარიტება? ასეთ გლობალურ პრობლემებზე ფამუქი, თავის გმირებთან და მკითხველთან ერთად, ფიქრობს, ბჭობს და ცდილობს, სამივენი – ავტორიც, გმირებიც და მკითხველიც სწორ ან, თუნდაც, ლოგიკურად გამართლებულ გზაზე დადგნენ.

მახსოვს, სულ პირველად როდის მოვიხიბლე ავტორის ყოფნით ნაწარმოებში – ეს იყო პუშკინის „ევგენი ონეგინი“. პუშკინი ისე ლაღად, თავისუფლად, უზადო იუმორით, წრფელი თანაგრძნობით ლაპარაკობდა თავის გმირებზე, მოვლენებზე, თავის რომანზე, საკუთარ თავზე, შეუძლებელია არ მოვხიბლულიყავი (მით უმეტეს, მე არც პირველი ვიყავი და არც უკანასკნელი, ვინც პუშკინმა მოხიბლა). პუშკინის ხიბლი იმაშიც იყო, რომ ის ზოგადად კი არ ამბობდა სათქმელს, პირადად მე მეუბნებოდა, გვერდით მეჯდა, მეხუმრებოდა, თვალს მიკრავდა, მუჯლუგუნსაც კი გამკრავდა, მაცინებდა და საერთოდაც აღფრთოვანებაში მოვყავდი (მართალია, ეს ფრაზა რუსულის კალკია, მაგრამ ქართულად „აღმაფრთოვანებდა“ ძალიან პრეტენზიულია).

მოკლედ, ფამუქმა პუშკინი გამახსენა... არ ვადარებ, ისე... უბრალოდ, გამახსენა!

მე არ ვაპირებ „თოვლის“ სიუჟეტის გამჟღავნებას, უბრალოდ, კითხვის დროს გაკეთებულ ჩანიშვნებს მინდა მივსდიო და კიდევ ერთხელ დავფიქრდე, რატომ მაინცდამაინც ამ ფრაზას გავუსვი ხაზი, რა წამოედო ჩემს გულს და გონებას. ფაქტია, ამ ჩანიშვნებიდან რაღაც გულს შეეხო, რაღაც კი – გონებას, რაღაც უბრალოდ მომეწონა, რაღაცამ კი დამაფიქრა, რაღაცას დავეთანხმე, რაღაც გავაპროტესტე.

„როცა პოეზია ბედნიერებისთვის საკმარისი არ არის, პოლიტიკის ჩრდილის აუცილებლობა ჩნდება“ – ამბობს რომანის მთავარი გმირი და მე მიჩნდება ეჭვი: ჩვენთან, ჩვენს ქვეყანაში, ალბათ, რამხელა ნაკლებობაა პოეზიის, რომ მთელი ქვეყანა პოლიტიკის ჩრდილქვეშ მოექცა, პოლიტიკა კი ნამდვილად ვერ გაგვაბედნიერებს, როცა ის მხოლოდ უარყოფითი ემოციების კასკადს ბადებს საზოგადოებაში. იქნებ მივუბრუნდეთ პოეზიას – ძველს, ახალს. ახლაც არიანო ახალგაზრდა საინტერესო პოეტებიო, ჩემი სტუდენტი შვილები მეუბნებიან. რა იქნება, ერთი დღით, ტელევიზიებმა და ზოგადად პრესამ დაივიწყოს პოლიტიკა, პოლიტიკოსები, პოლიტიკანები და დავუთმოთ ჟურნალ-გაზეთების გვერდები და ტელე-რადიო ეთერი პოეზიას. ახალგაზრდა პოეტები გავიცნოთ და ძველები გავიხსენოთ, იქნებ ამან ერთი დღით მაინც გაგვაბედნიეროს. თორემ პოლიტიკის ჩრდილის გამო მზეს ვეღარ დავინახავთ, ბნელი ღამე კი ბნელი ხალხის არენაა. პოეზიისა და სიკეთის გარეშე დარჩენილი ხალხი პოლიტიკის ჩრდილქვეშ ექცევა, შედეგად კი ბევრი გაუმართლებელი მსხვერპლია.

„წლები გავიდა, სამხედრო გადატრიალებები მოხდა, ყველა დაიჭირეს და მერე გამოუშვეს. ადამიანები, რომლებიც სამაგალითოდ მიმაჩნდნენ, გამოიცვალნენ“ – ძალიან ბევრი რამ ამ რომანში საქართველოს უახლეს წარსულს მაგონებს-მეთქი უკვე ვთქვი – სამხედრო გადატრიალებები, ყველას დაჭერები და მერე ყველას გამოშვებები... და ასეთი ბევრი მსგავსება არაერთხელ შეგვხვდება კიდევ. მაგრამ ყველაზე მტკივნეული მაინც ის არის, რომ ამ გადატრიალებების (სამხედრო თუ სხვა ტიპის) შედეგად ადამიანები იცვლებიან და არა უკეთესობისკენ, ისინი ოდესღაც იყვნენ სამაგალითოები, შემდეგ კი, უბრალოდ, გამოიცვალნენ. პარალელები, პარალელები, პარალელები. ისეთი გრძნობა მრჩებოდა რომანის კითხვისას, თითქოს ფამუქის რეალობა ჩვენს რეალობაში გადმოდიოდა ან ჩვენი რეალობა ფამუქის „თოვლში“ გადასულა.

ეს სიტყვები კი იმდენად ჩემია, ცოტა არ იყოს იმედგაცრუებულიც კი დავრჩი, რომ ვიღაც კიდევ ზუსტად ასე ფიქრობს და ასე ახასიათებს ჩემს ყოფას ყარსის საქართველოსთან დამაკავშირებელ ქალაქში. *„ყარსში თითქოს არც ქალაქი და არც ადამიანები ნამდვილები არ იყვნენ. აქ ყველას ან სიკვდილი, ან აქაურობისგან გაცლა უნდოდა. მაგრამ მე წასასვლელიც აღარ დამრჩენოდა. ისტორიისა და ცივილიზაციის მიღმა დავრჩი. ცივილიზაცია იმდენად შორს იყო, რომ მისი იმიტაციაც კი შეუძლებელი ხდებოდა“* – ეს გრძნობა განსაკუთრებით ძლიერია ზამთარში, როცა თოვლი, პირდაპირი მნიშვნელობით, ცივილიზაციის მიღმა გტოვებს! მართლაც და, გარდაცვლილები ან მომაკვდავები ჩამოჰყავთ რუსეთიდან და სომხეთიდან, რომ აქ დაკრძალონ! ნოდარ დუმბაძის ტიგრანასი არ იყოს, *„გამოდის ჩვენი საქართველო ამათი სასაფლაო გამხდარაო“*, ახალგაზრდები კი გარბიან, გარბიან რუსეთში და სომხეთში და უფრო შორეულ ქვეყნებშიც კი. სწორედ ამიტომ, აქ *„კაცის ჭაჭანება არაა და აქაურობა მიტოვებულ ქალაქს ჰგავს“*, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თუ პირიქით, ამის გამო, *„უეცრად მივხვდი, რომ ქალაქში გამეფებული მარტოობისა და უთვისტომობის ეს განცდა მხიბლავდა“.*

გარდა იმისა, რომ თოვლით გამოწვეული მარტოობისა და უთვისტომობის განცდაა მსგავსი და ახლობელი, სულიერ-რელიგიური და პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ძიებებიც ნაცნობი და ახლობელია ჩვენთვის.

როცა რომანის ერთმა გმირმა – განათლებულმა, ევროპულ კულტურასთან ნაზიარებმა პოეტმა მუჰთარ ბეიმ მოინდომა რელიგიაში ეპოვა საკუთარი თავი, დაუახლოვდა ყველაზე ავტორიტეტულ შეიხს, მაგრამ როცა აღმოაჩინა, რომ ამ ადამიანმა (შეიხმა) არაფერი იცოდა მოდერნისტულ პოეზიაზე და ვერ გაიზიარა პოეტის დარდი, *„ამან შეიხისადმი მისი რწმენა შეარყია“.* პოეტმა იცოდა, რომ შეიხი *„მარტივი ადამიანი არ იყო, უბრალოდ, ბევრი რამ არ იცოდა“* და როცა კითხვებზე, რომელიც ნებისმიერ თავისუფლად მოაზროვნე ადამიანს უნდა აწუხებდეს, მუჰთარ ბეიმ ვერ იპოვა პასუხები რელიგიაში, მაშინ მასში *„ათეისტობის დროიდან შემორჩენილმა, ნახევრად რაციონალისტმა, ნახევრად უტილიტარისტმა ეშმაკმა ისევ წამოყო თავი“* და მაშინ მიხვდა, რომ სულიერ სიმშვიდეს პარტიულ ცხოვრებაში მიაღწევდა, მიხვდა, რომ იქ (პარტიაში) გაცილებით ღრმა და აზრიან სულიერ ცხოვრებას შეიქმნიდა. ჰოდა, შექმნა პარტია, *„სადაც რელიგიისა და სულიერების დამფასებელი ადამიანები გაერთიანდნენ“* და თან *„მარქსისტობის დროინდელი პარტიული გამოცდილება ძალიან გამოადგა“.* როგორ ჰგავს ეს ყველაფერი ზუსტად იმავე პერიოდის ქართული ინტელიგენციის ძიებებს: კულტურა, ლიტერატურა, რელიგია, პოლიტიკა; კულტურა, ლიტერატურა, რელიგია, პოლიტიკა და ა.შ. და ა.შ. და, რაც მთავარია, ეს ხალხი დღემდე ამ ძიებებშია და კიდევ, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ნიუანსი: მარქსისტულ-კომუნისტური პარტიული გამოცდილება ბევრს ძალიან გამოადგა.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ პარტიის არც სახელწოდებას, არც მიმართულებას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა! შესაძლებელია შექმნა რელიგიური სახელწოდების ან მიმართულების პარტია მაშინ, როცა შენში ათეისტობისდროინდელი ეშმაკი და ეს პარტია მართო მარქსისტულ-კომუნისტური პარტიული გამოცდილების საშუალებით. და სამწუხაროა ის, რომ ასეთ ხალხს არც დრო, არც გარემოება, არც ასაკი არ ზღუდავს! ქვეყნის არსებობის ყოველ ახალ ეტაპზე ახალ პარტიას შექმნიან და სულ იქნებიან თავიანთი „სულიერი ცხოვრების“ ძიებაში.

„დინჯად და რაღაცნაირად, მსუყედ ბარდნიდა. გაურკვეველი მხრიდან მომავალ მოლურჯო სინათლეზე თოვლი უფრო ქათქათა ჩანდა. ეს ყველაფერი ადამიანს საოცარ სიმშვიდეს, იმედს, ძალასა და სინატიფეს ანიჭებდა.“

„ისე ნელა თოვდა, თითქოს ფიფქები ჰაერში ეკიდა, დრო კი გაჩერებულიყო ან შენელებულიყო.“

„თოვლმა ალაჰი მომაგონა, რაოდენ იდუმალი და მშვენიერია ეს ქვეყანა, ცხოვრება რა დიდი ბედნიერებაა... ეს მომაგონა თოვლმა.“

„თურქეთში ალაჰის რწმენა, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებაში, გარკვეულ წრეში შესვლას ნიშნავდა და არა უზენაეს აზრთან და შემოქმედთან ადამიანის პიროვნულ ურთიერთობას“ – ფამუქის ამ სიტყვებს მხოლოდ სინანულით შემიძლია შევეხმიანო: ეეეჰ! მხოლოდ თურქეთში? მხოლოდ ალაჰის?

რომანში ძალიან ბევრს მსჯელობენ რელიგიაზე, რწმენაზე. მხოლოდ ამ ქვეყნის (თურქეთის) წარმომადგენლები ითვლებიან ნამდვილ მორწმუნეებად, ევროპელები კი ათეისტებად, ურწმუნოებად და ღმერთისგან მიტოვებულებად მიაჩნიათ. მართალია, მოქმედება ღმერთისგან და ხალხისგან დავიწყებულ პატარა ყარსში ვითარდება, მაგრამ მეჩვენება, რომ აზრები და პრობლემები, რომლებიც აქაა ნაჩვენები, მთლიანად თურქეთის, აღმოსავლეთის ქვეყნების, მათ შორის ჩვენი პრობლემებიცაა! რამეთუ ჩვენთანაც არიან ადამიანები, რომლებიც მხოლოდ ქართველებს თვლიან ჭეშმარიტ მორწმუნეებად და მხოლოდ ჩვენ ვართ მარადიული ცხოვრების ღირსი, არ გაგიგონიათ, რომ მხოლოდ საქართველო გადარჩება? სხვა ყველა კი... სხვა ყველა თავისი ცოდვებისთვის დაისჯება... მხოლოდ ჩვენ ვართ უცოდველები... თუმცა, ღმერთმა დაგვიფაროს ამ აზრების იმ მასშტაბებამდე გაზრდა და ისეთ რეაქციულ ფაზაში გადაყვანა, როგორც ეს „თოვლშია“.

მაგრამ როცა კითხულობ და ხედავ, ერთ დროს სეკულარისტული სახელმწიფო როგორ უბრუნდება რელიგიურ აგრესიას, მეოცე საუკუნის მიწურულს, ქვეყანაში, რომლის ნახევარი, ფაქტობრივად, ევროპაა, შიში გიპყრობს. მით უმეტეს, როცა ხედავ შენს ქვეყანაში რა აქტიურადაა ჩართული ყველა დონის რელიგიური პირი პოლიტიკაში. რელიგიისა და პოლიტიკის აღრევას რა შედეგი მოსდევს, ამას ყოველდღე ვხედავთ არაბული ქვეყნების მაგალითზე. მიმაჩნია, რომ აქ მნიშვნელობა არა აქვს სარწმუნოებას, აქ მნიშვნელოვანია რელიგიური პოლიტიკა და პოლიტიკური რელიგია. ეს დასასრულის დასაწყისი იქნება ნებისმიერ ქვეყანაში.

დასასრული შემდეგ ნომერში

იუბილე

ნიჭს შესაფერისი მოხმარება უნდა

გამოჩენილი ქართველი ქიმიკოსის, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, აკადემიკოს ***გივი ცინცაძის*** *ცხოვრების გზაზე ღირსშესანიშნავ ნიშანსვეტად აღიმართა მეცხრე ათწლეულის დასაწყისი. ჩვენ „სამსახურებრივი მეზობლები“ ვართ მეცნიერებათა აკადემიის შენობაში. ასეთი მეზობლობის წყალობითაა, რომ ერთიმეორეს არცთუ იშვიათად ვეწვევით ხოლმე სასაუბროდ სამუშაო ოთახებში. ამჯერად ფრიად სასიამოვნო საბაბი მომეცა სტუმრობისათვის და იუბილარს მის კაბინეტში – აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილების აკადემიკოს-მდივნის კაბინეტში მივაკითხე ინტერვიუსთვის.*

გივი ცინცაძე ოჯახთან ერთად

– ბატონო გივი, როცა მკვლევარი თავის ქვეყანაში რაიმე მეცნიერულ მიმართულებას, რაიმე მეცნიერულ სფეროს ჩაუყრის საძირკველს – ეს უკვე უკვდავებაა მისი ...თქვენ ითვლებით საქართველოში კოორდინაციული ქიმიის ფუძემდებლად. რატომ მაინცდამაინც კოორდინაციული ქიმია?

– სადღეისოდ კოორდინაციული ქიმია არის ქიმიის დამოუკიდებელი ნაწილი, რომელიც მრავალ სამეცნიერო განშტოებას მოიცავს. აქ განიხილება როგორც არაორგანულ, ასევე ორგანულ ქიმიას ტრადიციულად მიკუთვნებული პრობლემები. ამჟამად მსოფლიოში სინთეზირებულია ათასობით კოორდინაციული ნაერთი, რომელთაც ფართო გამოყენება ჰპოვეს ქიმიურ ანალიზში, ორგანულ სინთეზსა თუ კატალიზურ რეაქციებში, იშვიათი ლითონების მიღება-დაცილებაში, ბიოლოგიასა და მედიცინაში – როგორც ბიოლოგიურად აქტიურმა და სამკურნალო პრეპარატებმა. 1960-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო კოორდინაციული ქიმიის განსაკუთრებული აღმავლობისა და განვითარების, პირდაპირ საეტაპო მნიშვნელობის პერიოდი, რაც გამოიხატა მიზანმიმართულ, სისტემურ კვლევებში კომპლექსნაერთების სინთეზის, ფიზიკურ-ქიმიური თუ ბიოლოგიური თვისებების შესწავლის კუთხით. აი, ამ ყველაფერმა განაპირობა კოორდინაციული ქიმიის მიმართ ჩემი ინტერესიც.

– შემოქმედი კაცისათვის ყველა ნაშრომი ძვირფასია, მაგრამ მაინც ხომ არ გამოყოფდით თქვენი ნაკვლევიდან რომელიმეს ან რაიმეს გამორჩევით?

– „ფსევდოჰალოგენიდების ქიმია“ მიმაჩნია განსაკუთრებით მნიშვნელოვნად. ის არაერთი ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებში მოექცა დიდი ყურადღების ფოკუსში, თეორიული თუ პრაქტიკული თვალსაზრისით.

– ახლახან გამოეცით ფუნდამენტური კლასიკური სახელმძღვანელო უკრაინელ ავტორებთან ერთად... თქვენი მეცნიერული ბიოგრაფიის გარკვეული მონაკვეთი შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს უკავშირდება; როგორ დაიწყო ეს თანამშრომლობა?

– ასპირანტობის წლებში, მოსკოვში, ზოგადი და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტში ყოფნისას, ვმონაწილეობდი კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაორგანული ქიმიის კათედრის ერთობლივ სამუშაოში – ფსევდოჰალოგენიდების სინთეზისა და თვისებების შესწავლა. მაშინ დაიწყო ჩემი ურთიერთობა კათედრის გამგესთან, პროფესორ ა. გოლუბთან და ასპირანტ ვ. სკოპენკოსთან (შემდეგ ვ. სკოპენკო გახდა კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, უკრაინის ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი და ვიცე-პრეზიდენტი). ეს თანამშრომლობა თანდათან გაღრმავდა და ამ ურთიერთობის ერთ-ერთი „ნაყოფია“ გერმანელ კოლეგებთან ერთად შექმნილი „ფსევდოჰალოგენიდების ქიმია“ – მონოგრაფია, რომელიც გერმანულ ენაზე 1979 წელს გამოვიდა ბერლინში. ამ ნაშრომისთვის ავტორებს მოგვენიჭა უკრაინის სახელმწიფო პრემია. 2005-ში კიევის ეროვნული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად ამირჩიეს. უკრაინელ კოლეგებთან მეცნიერული თანამშრომლობა დღესაც წარმატებით ხორციელდება.

– ბატონო გივი, მრავალრიცხოვანი მოწაფე გყავთ, როგორც ეს ჭეშმარიტ მეცნიერს შეეფერება. არაერთი მათგანი სხვადასხვა ქვეყანაში იღვწის. გვიამბეთ თქვენს აღზრდილებზე.

– ისინი წარმატებით მოღვაწეობენ საქართველოში, რუსეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, გერმანიაში, კანადაში, აშშ-ში, ახალ ზელანდიაში. მათ შორის საგანგებოდ უნდა აღვნიშნო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ამ აკადემიის ფიზიკური ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, ჩვენი ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ასლან ცივაძე (ნუ ვიუცხოებთ ქართველი კაცის უცხოელ წევრობას – წესდება სხვანაირად არჩევის საშუალებას არ იძლევა); საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ასევე სახელმწიფო პრემიის ლაურეატი თენგიზ წივწივაძე და სხვანი.

– ფართო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პარალელურად ათეულობით წელია, რაც პედაგოგიურ საქმიანობასაც ნაყოფიერად ეწევით, სტუდენტებთან უშუალო კონტაქტი გაქვთ. რას იტყოდით მომავალ თაობაზე, რა პოტენციალს ხედავთ ახალგაზრდებში?

– ქართველი სტუდენტობა, ზოგადად ქართველი ხალხი „უფლის საბოძვარი“ – ნიჭიერებითაა გამორჩეული, მაგრამ ნიჭს სათანადოდ მოხმარება, რიგიანად მოვარგება უნდა – ამას მადლი ჰქვია და დღეს სწორედ ეს მადლი გვაკლია. წარმატებებს თავდაუზოგავი შრომა სჭირდება. ახალგაზრდებს ვუსურვებ შრომის უნარს, მით უფრო, რომ 21-ე საუკუნის მთავარი მონაპოვარი, კომპიუტერული ტექნოლოგიები მათ განუზომლად მეტ შესაძლებლობას აძლევს მსოფლიო სამეცნიერო პროცესებში ჩართვისას, რაც უდავოდ, მომავალი წარმატებების საწინდარია.

– ქვეყანაში, ბოლო დრომდე, აქცენტი კეთდებოდა ჰუმანიტარულ საგნებზე, რამაც დეფიციტური პროფესიები გააჩინა. განათლების და მეცნიერების სამინისტრო დღეს პრიორიტეტად აცხადებს საბუნებისმეტყველო საგნებს. თქვენი აზრით, სკოლებში მათი სწავლების გაძლიერებამ რა შედეგი უნდა მოგვცეს?

– მე პირადად მივესალმები სამინისტროს გადაწყვეტილებას საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების გაძლიერების თაობაზე. ეს უთუოდ ხელს შეუწყობს უნივერსიტეტებში ნიჭიერი ახალგაზრდების მოდინებას, რაც საგრძნობლად აამაღლებს უმაღლესი განათლების დონეს.

– კვლევა, რომელიც თქვენი მომავალი მოღვაწეობის განმსაზღვრელია

– მომავალი კვლევები კვლავ კოორდინაციულ ქიმიას უკავშირდება. კომპლექსწარმოქმნის პროცესში წამყვან როლს გამხსნელი ასრულებს. სწორედ გამხსნელებთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა, კვანტურ-ქიმიური მეთოდების გამოყენებით, მესახება ჩემი და ჩემი კოლეგების ძირითად ამოცანად.

– ერთი „ლირიკული წიაღსვლა“, ბატონო გივი: რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს და კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად არ იცით.

– ჩემს თავს აი რას ვეკითხები ხოლმე: შევძელი კი საკუთარი შესაძლებლობების სრულად რეალიზება? ამ კითხვაზე პასუხი ზუსტად არ ვიცი.

– დაბოლოს, თქვენი მთავარი სიამაყე თქვენი ოჯახია, თუ შეიძლება გაგვაცანით.

– მეუღლე, ანა ნარიმანიძე, განათლებით ფარმაცევტი გახლდათ. საქართველოში, ერთ-ერთმა პირველმა, მან ჩაუყარა საფუძველი ბიოლოგიურად აქტიური ორგანული ნივთიერებებისა და ფარმაცევტული პრეპარატების საფუძველზე შექმნილი ბიოკოორდინაციული ნაერთების კვლევას. ჩემთვის ძლიერ სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ქალიშვილები – მაია და თამარ ცინცაძეები ღირსეულად აგრძელებენ მშობლების გზას. მაია ქიმიის მეცნიერებათა დოქტორია, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ზოგადი, არაორგანული და ანალიზური ქიმიის მიმართულების ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის სრული პროფესორი; თამარი მედიცინის დოქტორია, სტუ-ს ფარმაციის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს; სიძე – ილია გველესიანი, მედიცინის დოქტორი, ინტენსიურად მუშაობს ბიოლოგიურად აქტიური პრეპარატების კვლევებზე. უფროსი შვილიშვილი, ოთარ გველესიანი, მომავალი იურისტია, უმცროსი შვილიშვილები – გივი გველესიანი და მიხეილ ხასაია ექსტერნები არიან და მისაღები გამოცდებისთვის ემზადებიან.

* * *

მეცხრე ათეულში მხნედ შებიჯებულ ბატონ გივის, რომელსაც, სხვათა შორის, მეცნიერ-მოწაფეთა „გეოგრაფია“ თუ „რუკა“ თვით ახალ ზელანდიამდე განუვრცია (იშვიათი შემთხვევა ჩვენს სინამდვილეში), ჯანმრთელობასთან ერთად ახალ შემოქმედებით მიღწევებს ვუსურვებ და შემდეგ ჟურნალისტურ პაემანს 85 წლის ნიშანსვეტთან ვუნიშნავ.

თამაზ ეგანოიძე

დაბადებიდან 70 და პედაგოგიური მოღვაწეობის 42 წელი



ახალციხის რაიონის სოფელ ხეოთის უ. მოდებაძის სახელობის საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს **ომარ ელიზბარის ძე ნებაძეს** დაბადებიდან 70 და პედაგოგიური მოღვაწეობის 42 წელი შეუსრულდა.

ქვეყნისა და თაობების წინაშე ფასდაუდებელი ღვაწლი და ამაგი აქვს გაღებული ღვაწლმოსილ და ამაგდარ პედაგოგს. მრავალ თაობას ემსახურა მოვალეობისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით და დაულოცა გზა მომავალ ცხოვრებაში. ტკბილ მოგონებებს უკავშირდება – ჩატარებული გაკვეთილები, ახსნილი და გამოკითხული მასალები, გასწორებული რვეულები, დაწერილი ნიშნები, ფიქრი და განცდა მომავალ გეგმებზე, შრომაში გათენებული უძილო ღამეები, კოლეგა პედაგოგებთან შინაარსიანი, საინტერესო შემოქმედებითი ურთიერთობა, მათ მიმართ თანაგრძნობა, პატივისცემა და დაფასება. როგორ უნდა ემსახურო ქვეყანას, სამშობლოს, თაობებს – ომარ მასწავლებლის მიერ განვლილი გზა ნიმუში და დიდი მაგალითია დღევანდელი და მომავალი პედაგოგებისათვის.

ორი უმაღლესი დიპლომის კავალერი, გარდა მაღალი პროფესიონალიზმისა, დიდი პედაგოგიური პრაქტიკისა და გამოცდილების მქონე, მისი ცოდნის არსენალში ინტელექტუალიზმის მაღალი დონეა – არ არსებობს მისგან წაუკითხავი წიგნი, ჟურნალი და გაზეთი; ბატონი ოთარი წლების განმავლობაში უნარიანად ხელმძღვანელობდა სკოლის პროფკავშირულ ორგანიზაციას, არის იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლის კავალერი. კვლავაც შემართებით, მონდომებით შემოქმედებითად უძღვება სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს. პროფესიონალიზმით, მდიდარი პედაგოგიური ხელოვნებით და გამოცდილებით, იყო, არის და მომავალშიც იქნება სკოლის, პედკოლექტივის, მომავალი თაობების ძალა და იმედი.

ძვირფასო ომარ მასწავლებელო, დაბადების საიუბილეო 70 წლისთავს გილოცავთ სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, მოსწავლეები, მათი მშობლები, თქვენგან აღზრდილი თაობები.

ლელა გვრიტიშვილი
სკოლის დირექტორი

„წიგნის ფასი“

მესტიის რაიონის ფარის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბმა „ცოდნა ძალაა“ განახოციელა პროექტი „წიგნის ფასი“.

იმ მიზნით, რომ დაგვედგინა, რატომ იყო დაბალი ინტერესი წიგნისადმი, მოსწავლეებში მინი-კვლევა ჩავატარეთ. გამოკითხვამ ცხადყო, რომ მოსწავლეები ხელისშემშლელ ფაქტორად ბიბლიოთეკის და საინტერესო წიგნების არარსებობას ასახელებდნენ.

სკოლაში არ არსებობდა ბიბლიოთეკა, სკოლის წიგნადი ფონდი შეადგენდა რამდენიმე ერთეულს, რაც მოსწავლეთა უმეტესობას გადაკითხული ჰქონდა.

ამ დღიდან, კლუბმა და ხელმძღვანელმა პედაგოგმა **ეკა წულუკიძემ** სკოლის ბიბლიოთეკის შექმნაზე დაიწყეს ზრუნვა.

თავდაპირველად, დავუკავშირდით ბატონ **დათო ტურაშვილს** და ვთხოვეთ, დაგვხმარებოდა წიგნების შეგროვებაში. ბატონმა დათომ, რუსთავი 2 -ის ეთერით, მოუწოდა საზოგადოებას, ჩართულიყვნენ ამ კეთილ საქმეში. აღნიშნულ განცხადებას საზოგადოების დიდი ნაწილი გამოეხმაურა, ასევე, გამომცემლობები: „დიოგენე“, „წიგნის სახელოსნო“, თავისი წვლილი შეიტანა ამ კეთილ საქმეში იუსტიციის მინისტრმა, ქალბატონმა **თეა წულუკიანმა**. მადლობას ვუხდით თითოეულ ადამიანს, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი სკოლის მომავალი თაობის წიგნიერებაში.

პარალელურად, შევიტანეთ განაცხადი CTC-ში, როილის პროექტში – „ზემო სვანეთში სათემო ინიციატივების ხელშეწყობა ახალგაზრდების და ორგანიზებული ჯგუფების გაძლიერების მეშვეობით“. მოვიპოვეთ 550 ლარის გრანტი და შევიძინეთ 60 წიგნი, დიდ მადლობას ვუხდით ორგანიზაციას მხარდაჭერისთვის.

მოსწავლეებმა შეადგინეს პეტიცია დირექტორის სახელზე და სთხოვეს, აღმოეჩინა გარკვეული ფინანსური მხარდაჭერა წიგნების შესაძენად. სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **გულო ვიბლიანმა**, გაიზიარა ჩვენი წამოწყება და გამოგვიყო თანხა, რითაც 70-მდე წიგნი შევიძინეთ.

კლუბის წევრებმა გადაწყვიტეს, აღნიშნულ პროექტში თემსაც მიეღო მონაწილეობა და მოაწყვეს აქცია „ერთი წიგნი თქვენგან ჩვენს თაროზე“. მოსახლეობა გაგებით მოეკიდა ჩვენს ინიციატივას და ერთი წიგნის საფასური თანხა შემოგვწირეს.

ამრიგად, ჩვენ შევქმენით მცირე ბიბლიოთეკა, კლასიკური, თანამედროვე, სამეცნიერო და ისტორიული ხასიათის 400 წიგნით.

დასკვნით ეტაპზე დაიგეგმა პროექტის პრეზენტაცია. ღონისძიება სიმბოლურად დავამთხვიეთ „დედაენის დღეს“. მოვიწვიეთ თემის წარმომადგენლები, მშობლები, პედაგოგები და მოსწავლეები. ღონისძიების პირველი ნაწილი „დედაენის დღისადმი“ მიძღვნილ აქტივობებს დაეთმო. მოსწავლეებმა ისაუბრეს ქართული ენის ისტორიაზე, მის მნიშვნელობასა და დაცვაზე, წაიკითხეს დედაენისადმი მიძღვნილი ლექსები, შეასრულეს ქართული ხალხური ცეკვები, მათ მიერ შექმნილი ნახატების დახმარებით გააცოცხლეს ზღაპარი „წითელქუდა“. მეორე ნაწილი პროექტის პრეზენტაციას დაეთმო. დამსწრე საზოგადოებას გავაცანით ჩვენი პროექტის მიმდინარეობის ეტაპები, კვლევის შედეგები და სამომავლო გეგმები.

დასკვნით ნაწილში, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, გავმართეთ დისკუსია თემაზე – „რატომ დაშორდა ახალგაზრდობა წიგნს“. გამოითქვა სხვადასხვა საინტერესო მოსაზრება. პროექტის ფარგლებში, გამოცხადებული იყო წიგნის თემაზე შექმნილი საუკეთესო ესეებისა და ნახატების კონკურსი. ჟიურიმ გამოავლინა საუკეთესო ნახატი და ესე, რომლებიც დაჯილდოვდნენ სიგელებითა და წიგნებით.

პროექტში ჩვენი საქმიანობა ამით არ ამოწურულა, ბიბლიოთეკის მთავარი მიზანია გაზარდოს მოსწავლეებში წიგნისადმი ინტერესი და შეაყვაროს მათ კითხვა. ბიბლიოთეკაში ორი მოხალისე პედაგოგი (ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები – **ნანა ნარსავიძე** და **ეკა წულუკიძე**) მუშაობს. ისინი, ყოველთვიურად, აწყობენ ლიტერატურულ შეხვედრებს, განიხილავენ წაკითხულ წიგნებს, ახასიათებენ საყვარელ პერსონაჟებს, პატარები ხატავენ საყვარელ გმირს. ბოლოს ვაჯამებთ თვის შედეგებს, გამოვავლენთ თვის საუკეთესო მკითხველს, რომელიც სიგელით ჯილდოვდება.

ვფიქრობ, ამგვარი ღონისძიებები და აქტივობები მოსწავლე ახალგაზრდობაში გაზრდის წიგნისადმი სიყვარულს. სწორედ სკოლამ, პედაგოგმა უნდა შეაყვაროს და დაინტერესოს ბავშვი წიგნით.

ეკა წულუკიძე
ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

გვირილობა ჩვენს ქალაქში

2 მაისი – „გვირილობამ“ შემოაბიჯა ქუთაისში. ყველას სიხარულით აგვევსო გული. ხარობს ქალაქის მოსწავლე ახალგაზრდობა. მხიარული განწყობით, ღიმილით იტვირთება აკაკის, გალაკტიონის და ტიციანის ქალაქი. დღესასწაული გვახსენებს მე-20 საუკუნის დასაწყისის აპრილ-მაისის ქუთაისში დამკვიდრებულ საქველმოქმედო დღესასწაულს, რომელიც ტუბერკულოზით დაავადებულთა დასახმარებლად ტარდებოდა. ამ დღესასწაულმა უფრო გვიან, ჩვენი პერიოდის ქალაქში სხვა დატვირთვა მიიღო – ჯერ მოსწავლე ახალგაზრდობის და შემოქმედებითი კოლექტივების სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის გრანდიოზულ ღონისძიებების ასპარეზად გადაიქცა, ხოლო შემდეგ ქალაქის საყოველთაო ზეიმად – „ორმაისობად“.

სიყვარულით შეუერთდნენ ქუთაისელთა საერთო სულისკვეთებას სსიპ №8 საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლეები /მასწავლებელი – **მზია ზარნაძე**, კლასის ხელმძღვანელი – **სოფიო ბასილაძე**/. ისინი ესტუმრნენ ისტორიულ ფერმის ბაღს, გამართეს ლიტერატურული საღამო, ლექსს სიმღერა ცვლიდა, ისმოდა რევაზ ლაღიძის „ქუთაისის ჰიმნი“ და მოკრძალებით, მაგრამ მოსწავლეთა მიერ დიდი გრძნობით შესრულებული ხალხური და საესტრადო სიმღერები. მოსწავლეებმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ უკვდავი იქნება ერი, რომელმაც შექმნა ბაგრატის ტაძარი, გელათი, სვეტიცხოველი, ვარძია. უკვდავი იქნება ერი, რომელმაც შვა დიდი შოთა რუსთაველი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, აგრეთვე უამრავი ქართველი მამულიშვილი, მამულისა და ერის სიყვარულით ანთებულნი, ქართულ ენაზე, მამულზე, მშობლიურ ქალაქზე უსაზღვროდ შეყვარებულნი.

ღონისძიების მონაწილეებმა გადაიღეს სამახსოვრო სურათები, მოსწავლეთა მშობლებმა დიდი მადლიერება გამოთქვეს ქუთაისის №8 საჯარო სკოლის დირექციისა და პედაგოგიური კოლექტივის მიმართ იმ შრომისა და გარჯისათვის, რასაც ისინი ეწევიან, როგორც სასწავლო, ისე საგანმანათლებლო კუთხით.

იმავე დღეს, გაზაფხულის შემობრძანებას და ქუთაისქალაქობას – „ორმაისობას“ მიეძღვნა პედაგოგ **მაია ბაღაშვილის** მიერ ორგანიზებული მე-4 კლასის შემაჯამებელი ღონისძიება თემაზე – „ჩემი სამშობლო საქართველოა“. მოსწავლეებმა საუკეთესოდ წარმოაჩინეს თავიანთი თავი. აქ ერთმანეთს ენაცვლებოდა ეროვნული ცეკვები, ქართული სახოტბო, საესტრადო სიმღერები საქართველოზე, თბილისზე, ქუთაისზე... ყველაზე მეტად კი სამშობლოს მიმართ უდიდესი სიყვარული გამოხატეს ბავშვებმა იმ გულშიჩამწვდომი სიტყვებითა და ლექსებით, რომლებმაც თითოეულ მსმენელში უდაოდ აღძრა პატრიოტული და რაღაც განსაკუთრებული თბილი გრძნობა (ღონისძიების მუსიკალური და მხატვრული ხელმძღვანელი – კლასის დამრიგებელი მაია ბაღაშვილი).

ღონისძიებას ესწრებოდნენ: სკოლიც დირექცია, პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეები და სტუმრები – სკოლის სამოქმედო ზონაში მდებარე ბაგა-ბაღის პატარა აღსაზრდელები და მათი პედაგოგები.

ღონისძიებებით იყო დატვირთული აპრილის თვე. ქართული ენის დღის აღსანიშნავად მოეწყო ნორჩ მხატვართა და კალიგრაფთა კონკურსები, გაიმართა შიდა სასკოლო მხატვრული კითხვა, ხოლო სკოლის ოთხმა დეკლამატორმა მოსწავლემ: **ავთანდილ ჭიჭინაძემ**/VI კლასი/, **ვალერ ჭუმბურიძემ**/VII კლასი/, **ელენე გაგიშვილმა**/X კლასი/, **თამარ ოყრეშიძემ**/X კლასი/ მოსწავლეთა სასახლის მიერ ოქროს ჩარდახში მოწყობილ ღონისძიებაში „ვინ უკეთ კითხულობს „ვეფხისტყაოსანს“ მოპოვებული წარმატებისათვის სიგელები დაიმსახურეს.

სსიპ ქუთაისის №8 საჯარო სკოლის მოსწავლეებს სასწავლო წლის დასრულებამდე კიდევ ბევრი საინტერესო ღონისძიება ელით.

მზია ზარნაძე
სსიპ ქუთაისის №8 საჯარო სკოლის

ინფორმაცია

ერთიანი ეროვნული გამოცდები 27 ივნისს დაიწყება

ერთიანი ეროვნული გამოცდები, 27 ივნისს, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით დაიწყება. გამოცდების განრიგი, მაისის ბოლოს, გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge) გამოქვეყნდება. მაისის ბოლოდან დაიწყება საგამოცდო ბარათების დარიგებაც.

2013 წელს, საქართველოს მასშტაბით, 18 საგამოცდო ცენტრი გაიხსნება. წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის 42 000-მდე აბიტურიენტი, 8 000-ზე მეტი გრანტის გაუმჯობესების მსურველი, 9 500-ზე მეტი მაგისტრანტი და 25 000 -ზე მეტი მასწავლებელი დარეგისტრირდა.

აბიტურიენტთა უმეტესობამ – 30 000-მდე აპლიკანტმა უცხო ენად ინგლისური აირჩია. რაც შეეხება არჩევით საგნებს, ყველაზე მეტ – 14 500-მდე აბიტურიენტს ისტორია აქვს მითითებული, 11 000-ზე მეტმა აბიტურიენტმა კი ჩასაბარებელ საგნად გეოგრაფია აირჩია.

2013 წლის გამოსაშვები გამოცდებისათვის მასშტაბური აპრობაცია იწყება

საცდელი ტესტირებების მიზანი ტესტური დავალებების გამოცდა და ბაზის შექმნაა.

აპრობაციები 13-18 მაისს ჩატარდება. საცდელ ტესტირებებში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ყველა რეგიონის 400-მდე სკოლის 35 000-მდე მე-11 და მე-12 კლასების მოსწავლე.

2013 წლიდან გამოცდების ეროვნული ცენტრი, კვლავ კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირებით (cat-ის სისტემა), მთელი საქართველოს მასშტაბით, პრაქტიკულად ყველა სკოლაში, ჩაატარებს გამოსაშვებ გამოცდებს.

4 გამოცდას (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია) მეთორმეტეკლასელები მიმდინარე წლის შემოდგომაზე ჩააბარებენ, დანარჩენ ოთხს კი (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა, მათემატიკა, ისტორია) – სასწავლო წლის ბოლოს. ამასთან, მოსწავლეებს, რომლებიც შემოდგომაზე ვერ შეძლებენ ბარიერის გადალახვას ამა თუ იმ საგანში, განმეორებით მიეცამათ შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა.

სასკოლო საჩოგბურთო შეჯიბრებები



სპორტკომპლექს „გიო-მირის“ საჩოგბურთო კორტებზე საჯარო სკოლებს შორის ჩოგბურთის შეჯიბრების მეორე საფინალო ეტაპი გაიმართა. ფინალში პირველი ეტაპის ქვეჯგუფების გამარჯვებული 64 ბავშვი მონაწილეობდა. ფინალისტებს სამახსოვრო დიპლომები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა **ლევან ქებურიამ** გადასცა.

პირველ სამ ადგილზე გასულ ბავშვს საჩოგბურთო კლუბში ერთი წლის განმავლობაში უფასოდ ვარჯიშის შესაძლებლობა მიეცა. ღონისძიებას საერთაშორისო ჩოგბურთის ფედერაციის უცხოელი ექსპერტები, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები დაესწრნენ.

საჯარო სკოლებს შორის შეჯიბრებების პირველი ეტაპი 15-30 აპრილის ჩათვლით მოეწყო, მასში 25 საჯარო სკოლიდან შერჩეული 200 პირველკლასელი მონაწილეობდა. ეს შეჯიბრებები იმ საჯარო სკოლებში ჩატარდა, სადაც 2012 წლის მიწურულს სტანდარტული ზომის საჩოგბურთო მოედნები მოეწყო. ღონისძიებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები საჯარო სკოლების სპორტის მასწავლებლები.

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის მიერ ინიცირებული სასკოლო ჩოგბურთის განვითარების პროგრამის მიზანია ჩოგბურთის პოპულარიზაცია, ნიჭიერი ბავშვების სელექცია და ჯანმრთელი თაობების აღზრდა.

ბუნებრივი კატასტროფის რისკის შემცირება განათლების სფეროში

2013 წლის 10 მაისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის და გაეროს ბავშვთა ფონდის ორგანიზებით პირველი უწყებათაშორისი საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა თემაზე „კატასტროფის რისკის შემცირება განათლების სფეროში“.

საკოორდინაციო ჯგუფი შედგება სამთავრობო და არასამთავრობო დაინტერესებული მხარეებისგან, კერძოდ: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი, გარემოს დაცვის სამინისტრო; DIPECHO პარტნიორები – UNICEF, Save the Children, ASB, Oxfam GB, ACF, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი და RDFG.

საკოორდინაციო ჯგუფის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სკოლებში და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბუნებრივი კატასტროფის რისკის პრევენციასა და შემცირებასთან დაკავშირებული ღონისძიებების და აქტივობების ჩატარება, რომელშიც ასევე ჩართულები იქნებიან სკოლების ადმინისტრაციები, დირექტორები, მანდატურები, მშობლები და ადგილობრივი თემის წარმომადგენლები.

შეხვედრის მონაწილეებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ალუდა გოგლიჩიძე** მიესალმა. შეხვედრაზე ყველა პარტნიორმა ორგანიზაციამ წარმოადგინა საკუთარი ხედვა და მათ მიერ კატასტროფების რისკის შემცირების უზრუნველსაყოფად უკვე შექმნილი მასალები.

ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსმა **ნათია ჯოხაძემ** ვრცლად ისაუბრა თემაზე ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების ინტეგრირება საქართველოს განათლების სისტემაში. დაისახა სამომავლო გეგმები, რაც ითვალისწინებს: დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის ელექტრონული თამაშების მომზადებას, მოსწავლეებისთვის თემატური საზაფხულო ბანაკების მოწყობას და სხვა აქტივობების ჩატარებას.

განათლებაში ბუნებრივი კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო ჯგუფის მომავალი საქმიანობა უსაფრთხო სკოლის კონცეფციის ფუნდამენტურ და დამხმარე ნაწილს წარმოადგენს.

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის კონფერენცია გაიმართა

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის კონფერენცია-გამოფენა გაიმართა. ფორუმის მონაწილე, საქართველოს ყველა რეგიონის 300-ზე მეტი პედაგოგი და მოწვეული სტუმარი სამოქალაქო განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებსა და ინოვაციებს გაეცნო, მათ ასევე მიიღეს ინფორმაცია ფორუმის წევრ მასწავლებელთა გამოცდილებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის შესახებ.

კონფერენციის დასასრულს, წლის საუკეთესო სამოქალაქო განათლების პედაგოგთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. სამოქალაქო განათლების ფორუმის მიერ დაწესებული საპატიო ჯილდო – მადლობის სიგელი და „სამოქალაქო განათლების წლის საუკეთესო პედაგოგის“ პრიზი თერთმეტი რეგიონის თერთმეტ საუკეთესო პედაგოგს გადაეცა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ალუდა გოგლიჩიძე**, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს კავკასიის მისიის დირექტორი **სტივენ ჰეიკინი** და სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის დირექტორი **მარინა უშვერიძე**.

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში დაფუძნდა. პროექტს, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით, ორგანიზაცია PH International ახორციელებს. პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერითა და კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრთან (CTC) პარტნიორობით ხორციელდება.

ესეების კონკურსის გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ „ესეების კონკურსის“ გამარჯვებულები დააჯილდოვა. კონკურსში კახისა და ბელაქნის რაიონების 100-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. დაჯილდოების ცერემონია კახის რაიონის სოფელ ალათემურის კულტურის სახლში გაიმართა.

კონკურსის დასკვნით, ფინალურ ეტაპზე 21 ნაშრომი გადავიდა, რომელთა შორისაც ჟიურიმ, რეგიონული მასშტაბით, 3 საუკეთესო თემის ავტორი გამოავლინა.

კონკურსის გამარჯვებულს, კახის საშუალო სკოლის მოსწავლეს **მარინა შიხამირაშვილს** საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პორტატული კომპიუტერი გადასცა. ხოლო, მეორე და მესამე ადგილზე გასული მონაწილეები ციფრული აპარატითა და წიგნებით დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა დააჯილდოვა.

რეგიონული მასშტაბით გამარჯვებულების გარდა, ასევე გამოვლინდნენ თითოეულ სკოლაში პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელი კონკურსანტები, რომელთაც ფულადი ჯილდოები პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „იავნანამ“ და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გადასცა.

საქართველოს ფორუმი – პარტნიორები განათლებაში – 2013

მასწავლებელთა კონკურსის „პარტნიორები განათლებაში – საქართველოს ფორუმი 2013“ ფარგლებში მეხუთე ინტერნეტკონსულტაცია გაიმართა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ალუდა გოგლიჩიძემ** ინტერნეტით მიმართა მასწავლებლებს. შეხვედრაში მონაწილეობდა 75-ზე მეტი სკოლის პედაგოგი საქართველოს ქალაქებიდან და სოფლებიდან – კავთისხევი, სენაკი, პატარძეული, ქუთაისი, ბათუმი, გორი, რუხი, აგარა, სურამი, რუსთავი, ჩოხატაური, წყალტუბო, ასპინძა, კოხნარი, ახალდაბა, ძულუხი, ძეგვი, თბილისის ყველა რაიონი და ა.შ. ინტერნეტშეხვედრა მასწავლებელთა კონკურსის „პარტნიორები განათლებაში – საქართველოს ფორუმი 2013“ ფარგლებში გაიმართა, რომელიც ორგანიზებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი, ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (პროგრამა „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ და „მასწავლებელთა ინფორმაციულ – საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) ტრენინგების“ პროგრამა), Microsoft საქართველოს, Intel-ის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაწყებითი განათლების პროექტის, საქართველოში ბრიტანეთის საბჭოსა და Innovative Systems Management-ის პარტნიორობით და მისი მიზანია ინოვაციური სწავლა/სწავლების მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების გზით სასწავლო პროცესის ხარისხის ზრდის ხელშეწყობა.

ალუდა გოგლიჩიძემ გამოთქვა სამინისტროს სრული მხარდაჭერა ამ ინიციატივისადმი და სკოლებსა და პედაგოგებს აქტიურობისკენ მოუწოდა. კონკურსი წელს მეოთხედ იმართება საქართველოში. კონკურსის სიახლეა ახალი ნომინაციების დამატება, რომლებში გამარჯვებულებს თვითონ სასკოლო საზაგადოების წევრები – მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები ირჩევენ მოწონებების საშუალებით. ამ სიახლის მიზანია სკოლის ღიაობის ხელშეწყობა და საზოგადოების აქტიური ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში.

პედაგოგებს კონკურსში სასწავლო აქტივობების წარდგენა 19 მაისამდე შეუძლიათ. ინტერნეტშეხვედრის ჩანაწერი და კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია ვებგვერდზე – www.pilforum2013.k12.ge.

ბორჯღალოსანთა საიმედო რეზერვი

წარმატებული ევროპული ტურნე გამოუვიდა საქართველოს 15-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებს – კორსიკაზე გამართულ საერთაშორისო ტურნირში დიდებულად ითამაშა და ჩემპიონობა არავის დაუთმო. მერე კი, ლიონის ახლომდებარე ქალაქ ვიენში გადაინაცვლეს და იქაურ შეჯიბრებაში მესამე ადგილზე გავიდნენ.

კორსიკაზე ჩვენებმა ბრწყინვალე სტარტი აიღეს, როცა სწორედ ვიენელთა გუნდს 36:0 სძლიეს. ამის შემდეგ – მონაკოსა და კორსიკის ნაკრებებს, ტულუზის ერთ-ერთი სარაგბო სკოლის გუნდს, თუმცა მთავარი მაინც ახალი ზელანდიის ქალაქ ქრაისთჩერჩის სარაგბო აკადემიის მორაგბეებთან გამარჯვება იყო – 19:0! ზელანდიელთა სარაგბო სკოლის სიძლიერე საყოველთაოდ ცნობილია, ხოლო ქრაისჩერჩი ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრია მათ ქვეყანაში.

ჩვენებმა ტურნირის მეორე დღეც აღმავლობით ჩაატარეს და ჩემპიონობისკენ ძლევამოსილი სვლა კვლავაც გააგრძელეს, თუმცა შედარებით სუსტი მეტოქეები ჰყავდათ – კორსიკის სამი სხვადასხვა რეგიონის ნაკრები. „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ სამივეს დიდი ანგრიშით სძლიეს და შეიძლება ითქვას, უკონკურენტოდ გახდნენ ჩემპიონები.

ვიენში გადანაცვლებულმა ქართველებმა იქაური ტრადიციული საერთაშორისო ტურნირიც მშვენიერი სტარტით დაიწყეს – მასპინძელთა გუნდს 47:0 მოუგეს. კიდევ უფრო გამანადგურებელი ანგარიშით სძლიეს ბელგიური ლიეჟის სასკოლო ნაკრებს – 70:0, დღის ბოლო შეხვედრაში კი მასპინძელი რეგიონის – როდენის მხარის მეორე გუნდს 40:0 სძლიეს და მეორე დღეს გასამართ მეოთხედფინალში ქულის დაუკარგავად გავიდნენ. ამ სამ თამაშში მათი მონაგარი მართლაც შთამბეჭდავია – 157:0!

მეოთხედფინალში აშშ-ს კონექტიკუტის შტატის გუნდს 41:0 მოუგეს და ამის შემდეგ დათმეს ერთადერთი შეხვედრა ამ ორ ტურნირში. ეს ნახევარფინალში მოხდა, როდენის პირველ გუნდთან, რომელმაც თანაგუნდელთა მარცხისთვის რევანში კი აიღო, მაგრამ ჩვენებს პაექრობა უბრძოლველად არ დაუთმიათ და შეხვედრის ბედი ერთადერთმა გარდასახვამ გადაწყვიტა – თავიდან მასპინძლებმა ლელო დადეს, კიდეც გარდასახეს და 7:0 დაწინაურდნენ. ჩვენებმა ლელო მალევე გაქვითეს, მაგრამ ვერ გარდასახეს და ვერც ანგარიში გაათანაბრეს – 5:7 ჩამორჩნენ. ამის შემდეგ მეტოქეებმა თითო ლელო კიდევ დადეს, მაგრამ – გარდასახვების გარეშე და პაექრობა მასპინძლებმა 12:10 მოიგეს. ეს ჩვენების ერთადერთი წაბორძიკება აღმოჩნდა, რადგან ბრინჯაოს მედლისთვის პაექრობაში იტალიური ავეცანოს სარაგბო აკადემიის გუნდს კვლავაც დიდი ანგარიშით – 41:0 მოუგეს. როგორც ვხედავთ, ჩვენებმა მთელი ტურნირი ისე ჩაატარეს, მხოლოდ ერთ მატჩში მიიღეს ქულები – ნახევარფინალში წაგებულ პაექრობაში. ტურნირის შემდეგ გამართულ სავალდებულო საზეიმო ბანკეტზე ჩვენი მორაგბეების პროგრესი და დახვეწილი სათამაშო დისციპლინა ფრანგმა ორგანიზატორებმაც აღნიშნეს.

მსოფლიო თასის საგზურის მოსაპოვებლად

პოლონეთში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა ევროპირველობის მეცხრე ტურში ქართველმა მოჭადრაკეებმა მოკრძალებული შედეგი აჩვენეს და სატურნირო ცხრილში კიდევ უფრო გაიუარესეს მდგომარეობა. **ბაადურ ჯობავა** ყაიმს დასჯერდა **ვლასტიმილ ბაბულასთან**, ასევე **მერაბ გაგუნაშვილმა** ნახევარი ქულა მოიპოვა **მათიას ბლუებაუმთან** პარტიაში, **თორნიკე სანიკიძემ ვლადიმირ პოტკინთან** წააგო, ხოლო **დავით ლომსაძემ** – **ელენა ჩერედნიჩენკოსთან**. ასევე მარცხი იწვნია ავსტრიის სახელით მოასპარეზე **დავით შენგელიამ**, რომელმაც ვერაფერი გააწყო რუს **იან ნეპომნიაშჩისთან** შეხვედრაში, არადა შენგელია თავიდან მოწინავეთა რიგებში იყო.

8 ტურის შემდეგ შეჯიბრებას 7 ქულით უკრაინელი **ალექსანდრ მოისეენკო** ლიდერობს, მას ნახევარი ქულით რუმინელი **კონსტანტინ ლუპულესკუ** ჩამორჩება. დავით შენგელიას და ბაადურ ჯობავას 5-5 ქულა აქვთ და, ჯერჯერობით, პირველი 40 ადგილის მიღმა რჩებიან. მერაბ გაგუნაშვილმა 4,5 ქულა მოაგროვა, სანიკიძემ – 4, ხოლო ლომსაძე – 2.

შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით – 11 ტურად მიმდინარეობს და 16 მაისს დასრულდება. ტურნირის საპრიზო ფონდი 100 ათასი ევროა, საიდანაც გამარჯვებული 14 ათასს მიიღებს. ერთი საინტერესო დეტალიც – ევროპის ჩემპიონატის 23 მოწინავე მსოფლიო თასის საგზურს მიიღებს.

ფედერაცია სასკოლო სპორტისთვის

იმ დროს, როცა სკოლებში სპორტული განათლება-აქტიურობის საკითხი ჯერაც გადაუჭრელია, პრობლემის მოგვარებას თავად სასკოლო სფერო ცდილობს. ამას წინა კვირას მომხდარი ფაქტიც ადასტურებს – დაარსდა საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია, რომლის მიზანი საჯარო სკოლებს შორის სპორტული ურთიერთობა, სკოლებში, ახალგაზრდებში სპორტის როლის ამაღლებაა. სკოლებს შორის სპორტული ურთიერთობა რაოდენ მნიშვნელოვანია, ეს გლდანი-ნაძალადევის რაიონის სპორტკლუბ „მორკინალის“ მაგალითზეც დავინახეთ, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია სკოლებში. იმდენად დიდი, რომ მასში რეგიონების სკოლებიც კი ჩაერთნენ.

შეიძლება ითქვას, ახალდაარსებული ფედერაცია „მორკინალის“ განვრცობილი ვარიანტია – რა ამოცანებიც კლუბს ჰქონდა, ფედერაციაც იმავეს ისახავს. დაარსებითაც, ძირითადად, იმავე ხალხმა დააარსა – ფედერაციის პრეზიდენტი **გია ბეგიაშვილია**, ვიცეპრეზიდენტები – **დავით ხავთასი**, **ირინა სიმონიანი** და **ავთანდილ ჯალალი**, გენერალური მდივანი – **მევლუდ ლაშაური**.

ინიციატორთა სურვილია, „მორკინალის“ მსგავსი კლუბები ყველა რაიონში შეიქმნას, თუმცა ასევე განზრახულია მუშაობა, რომ ცალკეულ სკოლებსაც ჰქონდეთ საკუთარი კლუბები. ცხადია, ეს იძულებით არ გამოვა და გამოსავალს თვითმმართველობების დახმარებაში ხედავენ – ეს ხომ მათ ინტერესშიც შედის. თანაც, სკოლებში უამრავია ისეთი მოსწავლე, რომელსაც იქნებ სპორტის სულ სხვა სახეობა აინტერესებს და არა ის სამი სავალდებულო სახეობა. თან ასეთი მიდგომა თავისთავად გააქტიურებს სპორტულ ცხოვრებას სკოლებში – კლუბი თუ იქნება, ცხადია, ღონისძიებებიც უნდა ჩაატაროს. ვფიქრობთ, ამ ნაბიჯით შეიძლება გაიზარდოს შეჯიბრებები ჯერ საკუთრივ სკოლებს შიგნით, რაც თანდათან გადაიზრდება რაიონის, ქალაქის და, შეიძლება, მთელი ქვეყნის მასშტაბითაც.

ბუნებრივია, როგორც სხვა ფედერაციას, სასკოლო სპორტისასაც სჭირდება ფინანსები არსებობისთვის. ორგანიზატორები, ჯერჯერობით, დაფინანსების სამ გზაზე საუბრობენ – თვითდაფინანსება, ანუ როცა მონაწილენი იხდიან შეჯიბრებისთვის საჭირო თანხას; განათლების სამინისტროს პროგრამული დაფინანსება; სპონსორული დაფინანსება. ფედერაცია უკვე შეუდგა მუშაობას პროგრამების შედგენაზე, რასაც განათლების სამინისტროს წარუდგენს, ვინძლო იმათ ისურვონ ამ ღონისძიებების დაფინანსება. პარალელურად, შეუდგნენ ბიზნესწრეებთან ურთიერთობასაც, რაც, სავარაუდოდ, ძნელი საქმე იქნება – ჩვენში ხომ ეს წრე საკმაოდ მცირეა და თან სპონსორობა არც ისე მისაბაძ საქმედ მიიჩნევა, ბევრი მიმდევარი რომ ჰყავდეს. იმედია, რაკი საქმე სკოლასა და ბავშვს ეხება, ბიზნესმენები ცოტა მეტ დაინტერესებას გამოიჩენენ.

ფედერაცია უახლოეს დღეებშივე აპირებს სპორტული ღონისძიებების გამართვას – 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს გაიმართება გარბენი ფილარმონიიდან თავისუფლების მოედნამდე, სახელწოდებით – „აქტიური მოქალაქის ამანათი“ და შეჯიბრება ინტელექტუალურ თამაშებში.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

წიგნის თვრო

მიმდინარეობს ხელმოწერა



კლასიკური პოეზია

სამი ტომის ფასი 15 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
9. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი
11. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ქართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ძვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაძრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. თეიმურაზ I
22. ვახტანგ VI
23. გიორგი მერჩულე
24. გრიგოლ ორბელიანი
25. დავით ალმაშენებელი
26. გურამ ასათიანი
27. გრიგოლ როგაძიძე

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!

- მარგარეტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან** ახალი
- ალბერ კოენი - **დედაჩემი** ახალი
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები** ახალი
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა** ახალი
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი



კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
თამაზ ვასაძე

~~11 ლარი~~
9 ლარი

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

თამარ ბეროზაშვილი

10 ლარი

გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი



საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული
16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი
5.70 ლარი



„რა არის რა“
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნაცვლად 11 ლარისა
9 ლარი

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები
- ქიმია
- მეკობრეები
- ოლიმპიური თამაშები
- მთები
- ჯანსაღი კვება
- არქიტექტურა

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >